პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 163 (10557)
კვირა
15
ივლისი
1956 წ.

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ, 14 ივლისს, კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია.

კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს სხდომებზე ერთხმად მიღებულ იქნა კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ.

16 ივლისს გაიმართება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მოხუცებულობაში, შრომის უნარის დაკარგვისას და ავადმყოფობის შემთხვევაში მოქალაქეთა მატერიალური უზრუნველყოფის უფლება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი მონაპოვარია და განმტკიცებულია სსრ კავშირის კონსტიტუციით.

პენსიით უზრუნველყოფა გარანტირებულია სსრ კავშირში შექმნილი სოციალისტური წყობილებით, რომლის პირობებში სამუდამოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, უმუშევრობა და მშრომელთა ურწმენობა ხვალინდელი დღისადმი. პენსიით უზრუნველყოფა საბჭოთა სახელმწიფოში ხორციელდება მთლიანად სახელმწიფო და საზოგადოებრივი სახსრებით.

წარმატებანი სოციალისტური მეურნეობის განვითარებაში, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საშუალებას იძლევიან ამჟამად განხორციელდეს პენსიით უზრუნველყოფის საქმის შემდგომი გაუმჯობესება.

ამ მიზნით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

I.
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება აქვთ:

ა) მუშებსა და მოსამსახურეებს;

ბ) სამხედრო მოსამსახურეებს;

გ) უმაღლესი სასწავლებლების, საშუალო სპეციალური სასწავლებლების, კადრების მოსამზადებელი სასწავლებლების, სკოლებისა და კურსების მოსწავლეებს;

დ) სხვა მოქალაქეებს, თუ ისინი ინვალიდები გახდნენ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით;

ე) ამ მუხლში აღნიშნულ მოქალაქეთა ოჯახის წევრებს მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში;

მუხლი 2. სახელმწიფო პენსიები ამ კანონით დაენიშნებათ:

ა) მოხუცებულობის გამო;

ბ) ინვალიდობის გამო;

გ) მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში.

მუხლი 3. მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა პენსიის მიღების უფლება, ენიშნებათ ერთი პენსია მათი არჩევით.

მუხლი 4. მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება, შეუძლიათ პენსიის დასანიშნავად მიმართონ ყოველ დროს პენსიის უფლების წარმოშობის შემდეგ, რაიმე ვადით შეუზღუდავად.

მუხლი 5. პენსიებს უნიშნავენ პენსიების დამნიშვნელი კომისიები, რომლებსაც ადგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

პენსიების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში.

მუხლი 6. პენსიების გაცემას სახელმწიფო უზრუნველყოფს იმ სახსრებით, რომელთა ასიგნება ყოველწლიურად ხდება სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით, მათ შორის სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის სახსრებით, რომლებიც იქმნება საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შესატანებისაგან, ხელფასიდან რაიმე თანხის დაუქვითავად.

მუხლი 7. პენსიები არ იბეგრება გადასახადებით.

II.
მოხუცებულობის პენსიები

მუხლი 8. მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება აქვთ მუშებსა და მოსამსახურეებს:

მამაკაცებს — 60 წლის მიღწევის შემდეგ და სულ ცოტა 25 წლის მუშაობის სტაჟით;

ქალებს — 55 წლის მიღწევის შემდეგ და სულ ცოტა 20 წლის მუშაობის სტაჟით.

მუხლი 9. შეღავათიანი პირობებით მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება აქვთ:

ა) მუშებსა და მოსამსახურეებს მიწისქვეშა სამუშაოებზე, ისეთ სამუშაოებზე, სადაც შრომის მავნე პირობებია, და ცხელ საამქროებში — წარმოებათა, საამქროთა, პროფესიათა და თანამდებობათა სიის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

მამაკაცებს — 50 წლის მიღწევის შემდეგ და სულ ცოტა 20 წლის მუშაობის სტაჟით;

ქალებს — 45 წლის მიღწევის შემდეგ და სულ ცოტა 15 წლის მუშაობის სტაჟით;

ბ) მუშებსა და მოსამსახურეებს სხვა სამუშაოებზე, სადაც შრომის მძიმე პირობებია, — წარმოებათა, საამქროთა, პროფესიათა და თანამდებობათა სიის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო:

მამაკაცებს 55 წლის მიღწევის შემდეგ და სულ ცოტა 25 წლის მუშაობის სტაჟით;

ქალებს — 50 წლის მიღწევის შემდეგ და სულ ცოტა 20 წლის მუშაობის სტაჟით.

მუშას თუ მოსამსახურეს შეღავათიანი პირობებით მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება აქვს, თუ იმ სტაჟის ნახევარი მაინც, რომელიც აუცილებელია მისთვის ამ პენსიის დასანიშნავად, მოდის შესაბამის სამუშაოებზე, რომლებიც შეღავათიანი პირობებით პენსიის მიღების უფლებას იძლევიან (მიუხედავად უკანასკნელი სამუშაო ადგილისა).

მუხლი 10. ქალებს, რომლებმაც შობეს ხუთი ან მეტი შვილი და აღზარდეს ისინი რვა წლის ასაკამდე, მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება აქვთ 50 წლის მიღწევის შემდეგ და მუშაობის სულ ცოტა 15 წლის სტაჟით, თუ მათ არა აქვთ მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება უფრო ადრე ასაკში.

მუხლი 11. უსინათლო მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ინვალიდობის პენსიას იღებენ, უფლება აქვთ ამ პენსიის ნაცვლად მიიღონ მოხუცებულობის პენსია: მამაკაცებს 50 წლის მიღწევის შემდეგ და მუშაობის სულ ცოტა 15 წლის სტაჟით; ქალებს — 40 წლის მიღწევის შემდეგ და მუშაობის სულ ცოტა 10 წლის სტაჟით.

მუხლი 12. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც მუშაობის პერიოდში მიაღწიეს პენსიების დასანიშნავად საჭირო ასაკს, მაგრამ არა აქვთ სრული პენსიის დასანიშნავად საკმაო მუშაობის სტაჟი, მაგრამ ამავე დროს უმუშავნიათ არანაკლებ ხუთი წლისა, აქედან სულ ცოტა 3 წელიწადი უშუალოდ პენსიის თხოვნამდე, მოხუცებულობის პენსია ენიშნებათ იმ სტაჟის პროპორციული ოდენობით, რომელიც მათ აქვთ, მაგრამ არანაკლებ სრული პენსიის მეოთხედისა.

მუხლი 13. მოხუცებულობის პენსიები ენიშნებათ შემდეგი ოდენობით:

თვიური გამომუშავება მანეთობით	პენსია			
	მუშებსა და მოსამსახურეებს, იმათ გარდა, ვინც მუშაობს მიწისქვეშა სამუშაოებზე, ისეთ სამუშაოებზე, სადაც შრომის მავნე პირობებია, და ცხელ საამქროებში		მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც მუშაობენ მიწისქვეშა სამუშაოებზე, ისეთ სამუშაოებზე, სადაც შრომის მავნე პირობებია, და ცხელ საამქროებში	
	პროცენტობით გამომუშავებისადმი	პენსიის უმცირესი ოდენობა მანეთობით (უდანამატოდ)	პროცენტობით გამომუშავებისადმი	პენსიის უმცირესი ოდენობა მანეთობით (უდანამატოდ)
350-მდე (ჩათვლით)	100	300	100	300
350-დან 500-მდე „	85	350	90	350
500-დან 600-მდე „	75	425	80	450
600-დან 800-მდე „	65	450	70	480
800-დან 1.000-მდე „	55	520	60	560
1.000-დან და ზევით...	50	550	55	600

მოხუცებულობის პენსიის მინიმალური ოდენობა წესდება 300 მანეთი თვეში.

მოხუცებულობის პენსიის მაქსიმალური ოდენობა წესდება 1.200 მანეთი თვეში.

მუხლი 14. წესდება მოხუცებულობის პენსიების შემდეგი დანამატები (პენსიის მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში):

ა) 15 წელიწადზე მეტი მუშაობის განუწყვეტელი სტაჟისათვის ან მუშაობის საერთო სტაჟისათვის — მამაკაცებს, რომლებმაც იმუშავეს არანაკლებ 35 წლისა, და ქალებს, რომლებმაც იმუშავეს არანაკლებ 30 წლისა, — პენსიის 10 პროცენტი. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც აქვთ შეღავათიან პირობებში პენსიის მიღების უფლება ამ კანონის მე-9 მუხლის „ა“ პუნქტისა და მე-10 და მე-11 მუხლების შესაბამისად, აღნიშნული დანამატი მუშაობის საერთო სტაჟისათვის უწესდებათ, თუ მათი მუშაობის საერთო სტაჟი აღემატება შეღავათიან პირობებში პენსიის დასანიშნავად საჭირო სტაჟს, სულ ცოტა 10 წლით;

ბ) არამომუშავე პენსიონერებს, რომლებსაც კმაყოფაზე ჰყავთ ოჯახის არაშრომისუნარიანი წევრები: თუ ოჯახის არაშრომისუნარიანი წევრი ერთია — პენსიის 10 პროცენტი; თუ ოჯახის არაშრომისუნარიანი წევრი ორი ან მეტია — პენსიის 15 პროცენტი.

მუხლი 15. მომუშავე პენსიონერებს მოხუცებულობის პენსია ეძლევათ 150 მანეთის ოდენობით თვეში, თუ მათი გამომუშავება პენსიის დანიშვნის შემდეგ არ აღემატება (პენსიის თანხის ჩაუთვლელად) 1000 მანეთს.

მომუშავე პენსიონერებს, რომლებსაც მოხუცებულობის პენსია დაენიშნათ შეღავათიანი პირობებით, როგორც ისეთებს, რომლებიც მუშაობდნენ მიწისქვეშა სამუშაოებზე, ისეთ სამუშაოებზე, სადაც შრომის მავნე პირობებია, და ცხელ საამქროებში, პენსია ეძლევათ დანიშნული პენსიის 50 პროცენტის ოდენობით, გამომუშავების მიუხედავად.

მოხუცებულობის პენსია, დანიშნული არასრული სტაჟის დროს, მომუშავე პენსიონერებს არ ეძლევათ.

მუხლი 16. მუშას თუ მოსამსახურეს, რომელსაც აქვს საჭირო სტაჟი, მაგრამ მუშაობა შეწყვიტა ისე, რომ არ მიუღწევია ასაკისათვის, რომელიც იძლევა მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლებას, პენსია ენიშნება ამ ასაკის მიღწევის შემდეგ.

მუხლი 17. მოხუცებულობის პენსიები ენიშნებათ სამისდღეშიოდ, მიუხედავად შრომისუნარიანობის მდგომარეობისა.

III.
ინვალიდობის პენსიები მუშებსა და მოსამსახურეებს

მუხლი 18. ინვალიდობის პენსიის მიღების უფლება მუშებსა და მოსამსახურეებს აქვთ ინვალიდობის დადგომის შემთხვევაში, ესე იგი შრომისუნარიანობის მუდმივად ან ხანგრძლივად დაკარგვის შემთხვევაში.

ინვალიდობის პენსია მუშებსა და მოსამსახურეებს ენიშნებათ იმის მიუხედავად, თუ როდის დადგა ინვალიდობა: მუშაობის პერიოდში, მუშაობის დაწყებამდე თუ მუშაობის შეწყვეტის შემდეგ.

მუხლი 19. შრომისუნარიანობის დაკარგვის ზომის მიხედვით ინვალიდები განაყოფებიან სამ ჯგუფად.

ინვალიდობის ჯგუფების განსაზღვრას აწარმოებენ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები იმ წესით, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს.

მუხლი 20. ინვალიდობის პენსიები ინიშნება შრომისუნარიანობის დაკარგვისას:

ა) შრომითი დაშავების ან პროფესიული დაავადების შედეგად;

ბ) საერთო დაავადების შედეგად.

მუშაობასთან დაუკავშირებელი დაშავების გამო შრომისუნარიანობის დაკარგვისას პენსიები ინიშნება ისევე, როგორც საერთო დაავადების გამო შრომისუნარიანობის დაკარგვისას.

მუხლი 21. ინვალიდობის პენსიები იმ შემთხვევაში, თუ ინვალიდობა გამოწვეულია შრომითი დაშავების ან პროფესიული დაავადების შედეგად, ენიშნებათ მუშებსა და მოსამსახურეებს მუშაობის სტაჟის მიუხედავად.

ინვალიდობის პენსიები, თუ ინვალიდობა გამოწვეულია საერთო დაავადების შედეგად, მუშებსა და მოსამსახურეებს ენიშნებათ მუშაობის შემდეგი სტაჟის არსებობისას პენსიის მისაღებად მიმართვის დროისათვის:

ასაკი	მუშაობის სტაჟი (წლები)		
	მამაკაცები	ქალები	მუშები და მოსამსახურეები მიწისქვეშა სამუშაოებზე, ისეთ სამუშაოებზე, სადაც შრომის მავნე პირობებია, და ცხელ საამქროებში
20 წლიდან 23 წლის მიღწევამდე	2	1	1
23 წლიდან 26 წლის მიღწევამდე	3	2	2
26 წლიდან 31 წლის მიღწევამდე	5	3	3
31 წლიდან 36 წლის მიღწევამდე	7	5	5
36 წლიდან 41 წლის მიღწევამდე	10	7	6
41 წლიდან 46 წლის მიღწევამდე	12	9	7
46 წლიდან 51 წლის მიღწევამდე	14	11	8
51 წლიდან 56 წლის მიღწევამდე	16	13	10
56 წლიდან 61 წლის მიღწევამდე	18	14	12
61 წლიდან და უხნესი	20	15	14

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ინვალიდები გახდნენ საერთო დაავადების შედეგად 20 წლის ასაკის მიღწევამდე, პენსია ენიშნებათ:

ა) თუ ინვალიდობა მოხდა მუშაობის პერიოდში ან მისი შეწყვეტის შემდეგ — მუშაობის სტაჟის მიუხედავად;

ბ) თუ ინვალიდობა მოხდა მუშაობის დაწყებამდე — სულ ცოტა ერთი წლის მუშაობის სტაჟის არსებობისას.

მუხლი 22. მუშებსა და მოსამსახურეებს ინვალიდობის პენსიები, თუ ინვალიდობა გამოწვეულია შრომითი დაშავების ან პროფესიული დაავადების შედეგად, ენიშნებათ შემდეგი ოდენობით:

ა) I ჯგუფის ინვალიდებს — 100 პროცენტი თვეში 500 მანეთამდე გამომუშავებისა და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი;

ბ) II ჯგუფის ინვალიდებს — 90 პროცენტი თვეში 450 მანეთი გამომუშავებისა და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი;

გ) III ჯგუფის ინვალიდებს — 65 პროცენტი თვეში 400 მანეთამდე გამომუშავებისა და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც მუშაობენ მიწისქვეშა სამუშაოებზე, ისეთ სამუშაოებზე, სადაც შრომის მავნე პირობებია, და ცხელ საამქროებში, ინვალიდობის პენსიები შრომითი დაშავების ან პროფესიული დაავადების შედეგად ენიშნებათ შემდეგი შეღავათიანი ოდენობით:

I ჯგუფის ინვალიდებს — 100 პროცენტი II ჯგუფის ინვალიდებს — 90 პროცენტი III ჯგუფის ინვალიდებს — 65 პროცენტი	თვეში 600 მანეთამდე გამომუშავებისა და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 20 პროცენტი.

მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც მუშაობენ სხვა სამუშაოებზე, სადაც შრომის მძიმე პირობებია, ინვალიდობის პენსიები შრომითი დაშავების ან პროფესიული დაავადების შედეგად ენიშნებათ შემდეგი შეღავათიანი ოდენობით:

I ჯგუფის ინვალიდებს — 100 პროცენტი II ჯგუფის ინვალიდებს — 90 პროცენტი III ჯგუფის ინვალიდებს — 65 პროცენტი	თვეში 500 მანეთამდე გამომუშავებისა და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 15 პროცენტი.

პენსიების მინიმალური ოდენობა წესდება: I ჯგუფის ინვალიდობისათვის — 360 მანეთი თვეში; II ჯგუფისა — 285 მანეთი; III ჯგუფისა — 210 მანეთი.

პენსიების მაქსიმალური ოდენობა წესდება: I ჯგუფის ინვალიდობისათვის — 1.200 მანეთი თვეში; II ჯგუფისა — 900 მანეთი; III ჯგუფისა — 450 მანეთი.

მუხლი 23. ინვალიდობის პენსიები მუშებსა და მოსამსახურეებს საერთო დაავადების გამო ენიშნებათ შემდეგი ოდენობით:

ა) I ჯგუფის ინვალიდებს — თვეში 500 მანეთამდე გამომუშავების 85 პროცენტი და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი;

ბ) II ჯგუფის ინვალიდებს — თვეში 450 მანეთამდე გამომუშავების 65 პროცენტი და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი;

გ) III ჯგუფის ინვალიდებს — თვეში 400 მანეთამდე გამომუშავების 45 პროცენტი და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი.

მუშებსა და მოსამსახურეებს მიწისქვეშა სამუშაოებზე და ისეთ სამუშაოებზე, რომლებსაც შრომის მავნე პირობები აქვთ, და ცხელ საამქროებში ინვალიდობის პენსიები საერთო დაავადების გამო ენიშნებათ შემდეგი შეღავათიანი ოდენობით:

I ჯგუფის ინვალიდებს — 85 პროცენტი II ჯგუფის ინვალიდებს — 65 პროცენტი III ჯგუფის ინვალიდებს — 45 პროცენტი	თვეში 600 მანეთამდე გამომუშავებისა და, გარდა ამისა, დანარჩენი ხელფასის 20 პროცენტი.

მუშებსა და მოსამსახურეებს სხვა სამუშაოებზე, სადაც შრომის მძიმე პირობებია, ინვალიდობის პენსიები საერთო დაავადების გამო ენიშნებათ შემდეგი შეღავათიანი ოდენობით:

I ჯგუფის ინვალიდებს — 85 პროცენტი II ჯგუფის ინვალიდებს — 65 პროცენტი III ჯგუფის ინვალიდებს — 45 პროცენტი	თვეში 500 მანეთამდე გამომუშავებისა და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 15 პროცენტი.

მინიმალური ოდენობის პენსიები უწესდებათ: I ჯგუფის ინვალიდობისათვის — 300 მანეთი თვეში; II ჯგუფისა — 230 მანეთი; III ჯგუფისა — 160 მანეთი.

მაქსიმალური ოდენობის პენსიები უწესდებათ: I ჯგუფის ინვალიდობისათვის — 900 მანეთი თვეში; II ჯგუფისა — 600 მანეთი; III ჯგუფისა — 400 მანეთი.

მუშას თუ მოსამსახურეს უფლება აქვს მიიღოს საერთო დაავადებით გამოწვეული ინვალიდობის პენსია შეღავათიანი ოდენობით, თუ მისი საჭირო სტაჟის ნახევარზე არანაკლები მოდის შესაბამის სამუშაოებზე, რომლებიც შეღავათიანი ოდენობით პენსიის მიღების უფლებას იძლევიან (უკანასკნელი სამუშაო ადგილის მიუხედავად).

მუხლი 24. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც მუშაობის პერიოდში I ან II ჯგუფის ინვალიდები გახდნენ საერთო დაავადების შედეგად, თუ მათ მუშაობის საკმაო სტაჟი არა აქვთ სრული პენსიის დანიშვნისათვის, პენსია ენიშნებათ იმ სტაჟის პროპორციული ოდენობით, რომელიც მათ აქვთ, მაგრამ არანაკლებ სრული პენსიის მეოთხედისა.

მუხლი 25. უწესდებათ ინვალიდობის პენსიების შემდეგი დანამატები (პენსიების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში):

ა) I და II ჯგუფის ინვალიდებს, თუ ინვალიდობა გამოწვეულია საერთო დაავადებით, მუშაობის განუწყვეტელი სტაჟისათვის: 10-დან 15 წლამდე — პენსიის 10 პროცენტი; 15 წელს ზევით — პენსიის 15 პროცენტი;

ბ) I და II ჯგუფის არამომუშავე ინვალიდებს (ინვალიდობის მიზეზის მიუხედავად), რომლებსაც კმაყოფაზე ჰყავთ ოჯახის არაშრომისუნარიანი წევრები: თუ ოჯახის არაშრომისუნარიანი წევრი ერთია — პენსიის 10 პროცენტი; თუ ოჯახის არაშრომისუნარიანი წევრი ორი ან მეტია — პენსიის 15 პროცენტი;

გ) I ჯგუფის ინვალიდებს (ინვალიდობის მიზეზის მიუხედავად) მათი მოვალისათვის — პენსიის 15 პროცენტი.

I ჯგუფის ინვალიდთა დანამატების საერთო თანხა, როცა ინვალიდობა გამოწვეულია საერთო დაავადებით, არ შეიძლება აღემატებოდეს პენსიის 30 პროცენტს.

მუხლი 26. 60 წელს გადაცილებულ ინვალიდ მამაკაცებს და 55 წელს გადაცილებულ ინვალიდ ქალებს ინვალიდობის პენსიები ენიშნებათ სამისდღეშიოდ. ამ ინვალიდების კვლავ შემოწმება ხდება მხოლოდ მათი განცხადებით.

დანარჩენ ინვალიდებს ინვალიდობის პენსიები ენიშნებათ არაშრომისუნარიანობის მთელი დროისათვის.

მუხლი 27. I და II ჯგუფის ინვალიდებს, რომლებსაც რაიმე გამომუშავება აქვთ, პენსია ეძლევათ მთლიანად, გამომუშავების მიუხედავად.

III ჯგუფის მომუშავე ინვალიდებს პენსია ეძლევათ ისეთი ოდენობით, რომ პენსია და გამომუშავება ერთად არ აღემატებოდეს მთელ იმ გამომუშავებას, რომელიც პენსიის დანიშვნის წინ ჰქონდათ, მაგრამ ყველა შემთხვევაში ეძლევათ დანიშნული პენსიის არანაკლებ 50 პროცენტისა.

IV.
პენსიები მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახებს მარჩენალის დაკარგვის გამო

მუხლი 28. მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის მიღების უფლება აქვთ გარდაცვლილ მუშის, მოსამსახურის ან პენსიონერის ოჯახის არაშრომისუნარიან წევრებს, რომლებიც მის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ.

ოჯახის არაშრომისუნარიან წევრებად ითვლებიან:

ა) შვილები, ძმები, დები და შვილიშვილები, რომლებსაც არ შესრულებიათ 16 წელი (მოსწავლეებს — 18 წელი) ან ამ ასაკზე უხნესნი, თუ ისინი ინვალიდები გახდნენ მანამდე, სანამ 16 წელი (მოსწავლეებს — 18 წელი) შეუსრულდებოდათ; ამასთან ძმები, დები და შვილიშვილები — იმ პირობით, თუ მათ შრომისუნარიანი მშობლები არა ჰყავთ;

ბ) მამა, დედა, ცოლი, ქმარი, თუ მათ მიაღწიეს მოხუცებულობის ასაკს: მამაკაცებმა — 60 წელს, ქალებმა — 55 წელს, ან თუ ისინი ინვალიდები არიან;

გ) ერთ-ერთი მშობელი ან მეუღლე, ასაკისა და შრომის უნარის მიუხედავად, თუ იგი უვლის გარდაცვლილი მარჩენალის შვილებს, ძმებს, დებს ან შვილიშვილებს, რომლებსაც 8 წელი არ შესრულებიათ, და არ მუშაობს;

დ) პაპა და დიდედა, თუ არ არიან პირები, რომლებიც კანონით მოვალენი არიან მათ ინახავდნენ.

გარდაცვლილის შვილებსა და არაშრომისუნარიან მშობლებს, რომლებიც მის კმაყოფაზე არ იმყოფებოდნენ, უფლება აქვთ მიიღონ პენსია მისი გარდაცვალების გამო, თუ მათ შემდეგში დაკარგეს არსებობის საშუალებათა წყარო.

მუხლი 29. ორივე მშობლის კმაყოფაზე მყოფ შვილებს უფლება აქვთ მიიღონ პენსია მამის ან დედის გარდაცვალების გამო იმ შემთხვევაშიც, თუ მეორე მშობელი მუშაობს.

მუხლი 30. მოსწავლე შვილებს, ძმებს, დებსა და შვილიშვილებს პენსია ეძლევათ იმ შემთხვევაშიც, თუ სტიპენდიას იღებენ.

მუხლი 31. მშობლებს უფლება აქვთ მიიღონ პენსია იმის მიუხედავად, თუ როდის მიაღწიეს მოხუცებულობის ასაკს ან ინვალიდები გახდნენ: მარჩენალის სიკვდილამდე თუ სიკვდილის შემდეგ.

გარდაცვლილის მეუღლეს (ცოლს თუ ქმარს) პენსიის მიღების უფლება აქვს, თუ მან მოხუცებულობის ასაკს მიაღწია ან ინვალიდი გახდა მარჩენალის სიკვდილამდე ან არაუგვიანეს 5 წლისა მისი სიკვდილის შემდეგ. გარდაცვლილის მეუღლეს, რომელსაც სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები არა ჰყავს, პენსია ენიშნება მოხუცებულობის ასაკის მიღწევის ან ინვალიდობის დადგომის დროის მიუხედავად.

მუხლი 32. შვილად ამყვანებს პენსიის მიღების უფლება აქვთ მშობლების თანაბრად, ხოლო ნაშვილებს — ღვიძლი შვილების თანაბრად.

არასრულწლოვანები, რომლებსაც პენსიის მიღების უფლება აქვთ მარჩენალის დაკარგვის გამო, ამ უფლებას ინარჩუნებენ იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი იშვილეს.

მუხლი 33. შრომითი დაშავების თუ პროფესიული დაავადების შედეგად გარდაცვლილ მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახებს პენსია ენიშნებათ, მარჩენალის მუშაობის სტაჟის მიუხედავად, შემდეგი ოდენობით:

(დასასრული მე-2 გვერდზე)

კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ

(დასასრული)

ა) ოჯახის სამ ან მეტ არაშრომისუნარიან წევრზე — 100 პროცენტი მარჩენალის გამომუშავებისა თვეში 500 მანეთამდე და, გარდა ამისა, მარჩენალის დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი;

ბ) ოჯახის ორ არაშრომისუნარიან წევრზე — 90 პროცენტი მარჩენალის გამომუშავებისა თვეში 450 მანეთამდე და, გარდა ამისა, მარჩენალის დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი;

გ) ოჯახის ერთ არაშრომისუნარიან წევრზე — 65 პროცენტი მარჩენალის გამომუშავებისა თვეში 400 მანეთამდე და, გარდა ამისა, მარჩენალის დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი.

იმ მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახებს, რომლებიც მუშაობდნენ მიწისქვეშა სამუშაოებზე, ისეთ სამუშაოებზე, საღაც შრომის მავნე პირობებია, და ცხელ საამქროებში, და გარდაიცვალნენ შრომითი დაშავების ან პროფესიული დაავადების შედეგად, პენსიები ენიშნებათ შემდეგი შეღავათიანი ოდენობით:

ოჯახის სამ ან მეტ არაშრომისუნარიან წევრზე — 100 პროცენტი ოჯახის ორ არაშრომისუნარიან წევრზე — 90 პროცენტი ოჯახის ერთ არაშრომისუნარიან წევრზე — 65 პროცენტი	მარჩენალის გამომუშავებისა თვეში 600 მანეთამდე და, გარდა ამისა, მარჩენალის დანარჩენი გამომუშავების 20 პროცენტი.

იმ მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახებს, რომლებიც მუშაობდნენ სხვა სამუშაოებზე, სადაც შრომის მძიმე პირობებია, და გარდაიცვალნენ შრომითი დაშავების ან პროფესიული დაავადების შედეგად, პენსიები ენიშნებათ შემდეგი შეღავათიანი ოდენობით:

ოჯახის სამ ან მეტ არაშრომისუნარიან წევრზე — 100 პროცენტი ოჯახის ორ არაშრომისუნარიან წევრზე — 90 პროცენტი ოჯახის ერთ არაშრომისუნარიან წევრზე — 65 პროცენტი	მარჩენალის გამომუშავებისა თვეში 500 მანეთამდე და, გარდა ამისა, მარჩენალის დანარჩენი გამომუშავების 15 პროცენტი.

პენსიების მინიმალური ოდენობა წესდება: ოჯახის სამ ან მეტ წევრზე — 300 მანეთი თვეში; ოჯახის ორ წევრზე — 230 მანეთი; ოჯახის ერთ წევრზე — 160 მანეთი.

პენსიების მაქსიმალური ოდენობა წესდება: ოჯახის სამ ან მეტ წევრზე — 1.200 მანეთი თვეში; ოჯახის ორ წევრზე — 900 მანეთი; ოჯახის ერთ წევრზე — 450 მანეთი.

მუხლი 34. იმ მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახებს, რომლებიც გარდაიცვალნენ საერთო დაავადების შედეგად და ჰქონდათ მუშაობის სტაჟი, რომელიც საჭიროა ინვალიდობის პენსიის დასანიშნავად, პენსიები ენიშნებათ შემდეგი ოდენობით:

ა) ოჯახის სამ ან მეტ არაშრომისუნარიან წევრზე — 85 პროცენტი მარჩენალის გამომუშავებისა 500 მანეთამდე თვეში და, გარდა ამისა, მარჩენალის დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი;

ბ) ოჯახის ორ არაშრომისუნარიან წევრზე — 65 პროცენტი მარჩენალის გამომუშავებისა 450 მანეთამდე თვეში და, გარდა ამისა, მარჩენალის დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი;

გ) ოჯახის ერთ არაშრომისუნარიან წევრზე — 45 პროცენტი მარჩენალის გამომუშავებისა 400 მანეთამდე თვეში და, გარდა ამისა, მარჩენალის დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი.

იმ მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახებს, რომლებიც მუშაობდნენ მიწისქვეშა სამუშაოებზე, ისეთ სამუშაოებზე, საღაც შრომის მავნე პირობებია, და ცხელ საამქროებში და გარდაიცვალნენ საერთო დაავადების შედეგად, პენსიები ენიშნებათ შემდეგი შეღავათიანი ოდენობით:

ოჯახის სამ ან მეტ არაშრომისუნარიან წევრზე — 85 პროცენტი ოჯახის ორ არაშრომისუნარიან წევრზე — 65 პროცენტი ოჯახის ერთ არაშრომისუნარიან წევრზე — 45 პროცენტი	მარჩენალის გამომუშავებისა 500 მანეთამდე თვეში და, გარდა ამისა, მარჩენალის დანარჩენი გამომუშავების 15 პროცენტი.

პენსიების მინიმალური ოდენობა წესდება: ოჯახის სამ ან მეტ წევრზე — 300 მანეთი თვეში; ოჯახის ორ წევრზე — 230 მანეთი; ოჯახის ერთ წევრზე — 160 მანეთი.

პენსიების მაქსიმალური ოდენობა წესდება: ოჯახის სამ ან მეტ წევრზე — 900 მანეთი თვეში; ოჯახის ორ წევრზე — 600 მანეთი; ოჯახის ერთ წევრზე — 400 მანეთი.

იმ მუშის თუ მოსამსახურის ოჯახს, რომელიც გარდაიცვალა საერთო დაავადების შედეგად, აქვს შეღავათიანი ოდენობით პენსიის მიღების უფლება, თუ იმ სტაჟის ნახევარი მაინც, რომელიც საჭირო იქნებოდა მარჩენალისათვის ინვალიდობის პენსიის დასანიშნავად, მოდიოდა შესაბამის სამუშაოებზე, რომლებიც იძლევიან შეღავათიანი ოდენობით პენსიის მიღების უფლებას (მარჩენალის უკანასკნელი სამუშაო ადგილის მიუხედავად).

ოჯახებს, რომელთა შემადგენლობაში შედიან ბავშვები, რომლებმაც დაკარგეს დედ-მამა (უდედმამონი), ან გარდაცვლილი მარტოხელა დედის ბავშვები, პენსიები ენიშნებათ იმ ოდენობით, რომელიც დაწესებულია ოჯახებისათვის, რომლებმაც დაკარგეს მარჩენალი შრომითი დაშავების ან პროფესიული დაავადების შედეგად.

მუხლი 35. იმ მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახის წევრებს, რომლებიც გარდაიცვალნენ მუშაობის პერიოდში საერთო დაავადების გამო, თუ მათ არა ჰქონდათ ინვალიდობის სრული პენსიის დასანიშნავად საკმარი სტაჟი, პენსია ენიშნებათ მარჩენალის მუშაობის სტაჟის პროპორციული ოდენობით, მაგრამ არანაკლებ სრული პენსიის მეოთხედისა.

მუხლი 36. უწესდებათ პენსიების შემდეგი დანამატი მარჩენალის დაკარგვის გამო (პენსიების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში):

ა) იმ მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახებს, რომლებიც გარდაიცვალნენ შრომითი დაშავების ან პროფესიული დაავადების შედეგად, ოჯახის სამ ან მეტ არაშრომისუნარიან წევრზე — პენსიის 15 პროცენტი;

ბ) იმ მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახებს, რომლებიც გარდაიცვალნენ საერთო დაავადების შედეგად, მარჩენალის მუშაობის განუწყვეტელი სტაჟისათვის: 10-დან 15 წლამდე — პენსიის 10 პროცენტი; 15 წელს ზევით — პენსიის 15 პროცენტი.

მუხლი 37. პენსიონერებს, რომლებსაც პენსია დაენიშნათ მარჩენალის დაკარგვის გამო, პენსია ეძლევათ სრულად იმ შემთხვევაშიც, თუ მათ აქვთ რაიმე გამომუშავება.

V.

პენსიები სამხედრო მოსამსახურეებსა და მათს ოჯახებს

მუხლი 38. ვადიანი სამსახურის რიგითი, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებს პენსიის მიღების უფლება აქვთ ინვალიდობის შემთხვევაში, ხოლო მათს ოჯახებს — მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში.

პენსიები ამ სამხედრო მოსამსახურეებსა და მათს ოჯახებს ენიშნებათ მიუხედავად სამხედრო მოსამსახურის სამხედრო სამსახურის და წინა მუშაობის ხანგრძლივობისა.

ყოფილ პარტიზანებსა და მათს ოჯახებს პენსიები ენიშნებათ სამხედრო მოსამსახურეებთან და მათს ოჯახებთან საერთო საფუძვლებზე.

ვადიანი სამსახურის რიგითი, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებისა და ყოფილი პარტიზანების რიცხვიდან გარდაცვლილი პენსიონერების ოჯახებს პენსიის მიღების უფლება აქვთ მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში.

მუხლი 39. ვადიანი სამსახურის რიგითი შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც მუშებად ან მოსამსახურეებად მუშაობდნენ სამხედრო სამსახურში გაწვევამდე და რომლებიც ინვალიდები გახდნენ სსრ კავშირის დაცვისას ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულებისას დაჭრის, კონტუზიის ან დაშავების შედეგად, ან იმ დაავადების შედეგად, რომელიც დაკავშირებულია ფრონტზე ყოფნასთან, პენსიები ენიშნებათ შემდეგი ოდენობით, სამხედრო სამსახურში გაწვევამდე გამომუშავების მიხედვით:

ა) I ჯგუფის ინვალიდებს — 100 პროცენტი თვეში 500 მანეთამდე გამომუშავებისა და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი.

ბ) II ჯგუფის ინვალიდებს — 90 პროცენტი თვეში 450 მანეთამდე გამომუშავებისა და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი;

გ) III ჯგუფის ინვალიდებს — 65 პროცენტი თვეში 400 მანეთამდე გამომუშავებისა და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი.

ვადიანი სამსახურის რიგითი შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც გაწვევამდე მუშაობდნენ მიწისქვეშა სამუშაოებზე, ისეთ სამუშაოებზე, სადაც შრომის მავნე პირობებია, და ცხელ საამქროებში და რომლებიც ინვალიდები გახდნენ ზემოაღნიშნული მიზეზების შედეგად, პენსიები ენიშნებათ შემდეგი შეღავათიანი ოდენობით:

I ჯგუფის ინვალიდებს — 100 პროცენტი II ჯგუფის ინვალიდებს — 90 პროცენტი III ჯგუფის ინვალიდებს — 65 პროცენტი	თვეში 600 მანეთამდე გამომუშავებისა და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 20 პროცენტი.

ვადიანი სამსახურის რიგითი შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც გაწვევამდე მუშაობდნენ სხვა სამუშაოებზე, სადაც შრომის მძიმე პირობებია, და ინვალიდები გახდნენ ზემოაღნიშნული მიზეზების შედეგად, პენსიები ენიშნებათ შემდეგი შეღავათიანი ოდენობით:

I ჯგუფის ინვალიდებს — 100 პროცენტი II ჯგუფის ინვალიდებს — 90 პროცენტი III ჯგუფის ინვალიდებს — 65 პროცენტი	თვეში 500 მანეთამდე გამომუშავებისა და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 15 პროცენტი.

პენსიების მინიმალური ოდენობა წესდება: I ჯგუფის ინვალიდობისათვის — 385 მანეთი თვეში; II ჯგუფისა — 285 მანეთი; III ჯგუფისა — 210 მანეთი.

პენსიების მაქსიმალური ოდენობა წესდება: I ჯგუფის ინვალიდობისათვის 1.200 მანეთი თვეში; II ჯგუფისა — 900 მანეთი; III ჯგუფისა — 450 მანეთი.

მუხლი 40. ვადიანი სამსახურის რიგითი შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც მუშაობდნენ მუშებად ან მოსამსახურეებად სამხედრო სამსახურში გაწვევამდე და ინვალიდები გახდნენ იმ დაშავების შედეგად, რომელიც მიღებულია უბედური შემთხვევის გამო, რაც დაკავშირებული არ არის სამხედრო სამსახურის მოვალეობათა შესრულებასთან, ან დაავადებისა, რომელიც დაკავშირებული არ არის ფრონტზე ყოფნასთან, პენსიები ენიშნებათ შემდეგი ოდენობით, სამხედრო სამსახურში გაწვევამდე გამომუშავების მიხედვით:

ა) I ჯგუფის ინვალიდებს — 85 პროცენტი თვეში 500 მანეთამდე გამომუშავებისა და გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი;

ბ) II ჯგუფის ინვალიდებს — 65 პროცენტი თვეში 450 მანეთამდე გამომუშავებისა და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი;

გ) III ჯგუფის ინვალიდებს — 45 პროცენტი თვეში 400 მანეთამდე გამომუშავებისა და, გარდა ამისა, დანარჩენი გამომუშავების 10 პროცენტი.

ვადიანი სამსახურის რიგითი შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც გაწვევამდე მუშაობდნენ სარეწაო კოოპერაციის არტელების წევრებად, პენსიები ენიშნებათ იმავე საფუძველზე, როგორც სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც მუშაობდნენ მუშებად ან მოსამსახურეებად.

იმ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, რომლებიც სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მუშაობდნენ სარეწაო კოოპერაციის არტელების წევრებად, პენსიები ენიშნებათ იმავე საფუძველზე, როგორც იმ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, რომლებიც მუშაობდნენ მუშებად ან მოსამსახურეებად.

მუხლი 51. ვადიანი სამსახურის რიგითი, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის პენსიების დანიშვნისას შესაბამისად გამოყენებულ უნდა იქნას ამ კანონის მუხლები 18 (ნაწილი I), 19, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32 და 37. იმ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისათვის პენსიების დანიშვნისას, რომლებიც სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მუშაობდნენ მუშებად, მოსამსახურეებად ან სარეწაო კოოპერაციის არტელების წევრებად, შესაბამისად გამოყენებულ უნდა იქნას ამ კანონის აგრეთვე მუხლი 36 (პუნქტი „ა“).

მუხლი 52. გენერლების, ადმირალების, ოფიცრების, ზევადიანი სამსახურის რიგითი, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეების და მათთან გათანაბრებული პირების პენსიით უზრუნველყოფა, აგრეთვე მათი ოჯახების პენსიით უზრუნველყოფა ხორციელდება იმ წესით და ოდენობით, რომელსაც აწესებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

იმ პირებს, რომლებიც აღნიშნული არიან ამ მუხლში, თუ მათ დათხოვნისას არ მოუპოვებიათ იმ პენსიის მიღების უფლება, რომელიც დაწესებულია სათანადო კატეგორიების სამხედრო მოსამსახურეებისათვის, აგრეთვე მათს ოჯახებს შეიძლება დაენიშნოს პენსია ამ კანონის მიხედვით იმ საფუძვლებზე, რომლებიც დაწესებულია მუშების, მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის, მიუხედავად იმისა, ეს პირები წინათ მუშაობდნენ თუ არა მუშებად და მოსამსახურეებად.

VI.

პენსიების გამოანგარიშება

მუხლი 53. პენსიების გამოანგარიშება ხდება საშუალოთვიური ფაქტიური გამომუშავების მიხედვით. ამ გამომუშავებაში შედის ხელფასის ყველა სახეობა, რომლებსაც დაერიცხება სადაზღვევო შესატანები, გარდა ხელფასისა საზეგანაკვეთო მუშაობისათვის, შეთავსებისათვის და გარდა ერთდროული ხასიათის ყოველგვარი გადახდისა. ყოველწლიური ჯილდო ნამსახურობისათვის შედის გამომუშავებაში, რომლის მიხედვითაც პენსია გამოიანგარიშება.

საშუალოთვიური გამომუშავება აღებულ უნდა იქნას უკანასკნელი 12 თვის მუშაობისათვის ან, პენსიის მთხოვნელის სურვილით, ყოველი 5 წლისათვის ზედიზედ იმ უკანასკნელი 10 წლიდან, რაც გავიდა პენსიის თხოვნამდე.

მუხლი 54. პენსიონერებს იმ მუშათა, მოსამსახურეთა და სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებმაც პენსიის დანიშვნის შემდეგ იმუშავეს არანაკლებ 2 წლისა უფრო მაღალი გამომუშავებით, ვიდრე ის, რომლის მიხედვითაც გამოანგარიშებული იყო პენსია, უწესდებათ პენსიის ახალი ოდენობა, ამ უფრო მაღალი გამომუშავების მიხედვით.

მუხლი 55. პენსიები ყველა დანამატით ენიშნებათ პენსიების მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში და იმ გამომუშავების 100 პროცენტის ფარგლებში, საიდანაც გამოანგარიშებულია პენსია, მაგრამ ყველა შემთხვევაში პენსია ყველა დანამატით არ შეიძლება იყოს პენსიების მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები.

პენსიები I ჯგუფის ინვალიდებისა, აგრეთვე ოჯახებისა, რომლებმაც დაკარგეს მარჩენალი და რომლებშიც სამი ან მეტი არაშრომისუნარიანი წევრია, შეიძლება იყოს იმ გამომუშავების 100 პროცენტზე მეტი, საიდანაც გამოანგარიშებულია პენსია.

მუხლი 56. პენსიონერებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სოფელ ადგილებში და დაკავშირებული არიან სოფლის მეურნეობასთან, პენსიები (მათ შორის მინიმალური და მაქსიმალური) ენიშნებათ ამ კანონით დადგენილი ნორმების 85 პროცენტის ოდენობით.

VII.

ამ კანონის ძალაში შესვლის წესი

მუხლი 57. მოხუცებულობის, ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის შემთხვევაში პენსიები, დანიშნული ამ კანონის ძალაში შესვლამდე, გაიცემა შემდეგ საფუძვლებზე:

ა) პენსიონერებს, რომლებსაც აქვთ ამ კანონით უფრო დიდი პენსიების მიღების უფლება, პენსიების ოდენობა უდიდდებათ ამ კანონით დაწესებულ ოდენობამდე;

ბ) დანარჩენ პენსიონერებს პენსიები დაეტოვებათ წინათ დანიშნული ოდენობით, მაგრამ არანაკლებ მინიმალური დაარაუდიდეს მაქსიმალური ოდენობისა, რომლებიც დაწესებულია ამ კანონით;

გ) მომუშავე პენსიონერებს პენსიები ეძლევათ ამ კანონის 15, 27 და 37 მუხლების შესაბამისად.

მუხლი 58. პენსიები ნამსახურობისათვის, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებით სპეციალისტთა ცალკეული კატეგორიებისათვის (მასწავლებლებისა, მედიცინის მუშაკებისა და სხვებისათვის), დანიშნული ამ კანონის მოქმედებაში შესვლამდე, ძალაში რჩება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ევალება განსაზღვროს ნამსახურობისათვის პენსიების შემდგომი დანიშვნისა და გადახდის წესი (მუშაკების წრე, რომლებსაც ეს პენსიები ენიშნებათ; წინათ დანიშნული და ახლად დასანიშნავი პენსიების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა; იმ პენსიების ოდენობა, რომლებიც მომუშავე პენსიონერებს ეძლევათ, და სხვ.).

მუხლი 59. მეცნიერების მუშაკების და მათი ოჯახების პენსიით უზრუნველყოფის წესი, რომელიც დადგენილია მეცნიერების მუშაკთა პენსიით უზრუნველყოფის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით, ძალაში რჩება. მეცნიერების მუშაკებსა და მათს ოჯახებს პენსიები კვლავ ენიშნებათ აღნიშნული დებულების თანახმად, ან მათი სურვილით, ამ კანონის თანახმად.

მუხლი 60. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ევალება ამ კანონის საფუძველზე გამოსცეს დებულება სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ. დებულებაში კერძოდ გათვალისწინებულ უნდა იქნას ოდენობა პენსიებისა იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც აღნიშნული არიან ამ კანონის I მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტებში, და მათი ოჯახებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ევალება აგრეთვე გამოსცეს დადგენილება, თუ რა წესით უნდა იქნან უზრუნველყოფილნი პერსონალური პენსიებით მოქალაქენი, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით სახელმწიფოს წინაშე, და მათი ოჯახები.

მუხლი 61. ეს კანონი მოქმედებაში შედის 1956 წლის 1 ოქტომბრიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1956 წ. 14 ივლისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინის საბოლოო სიტყვა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს სხდომაზე

ამხანაგო დეპუტატებო!

სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის განხილვა და საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თანამოხსენება მეტად სასარგებლო იყო. წინადადებანი და შესწორებანი მისი ზოგიერთი მუხლის შესახებ, რომლებიც დეპუტატებმა შემოიტანეს და რომლებზეც ცოტა ქვემოთ ვიტყვი, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებენ კანონს.

პრესაში კანონის პროექტის წინასწარ გამოქვეყნებამ დიდი როლი შეასრულა და შესაძლებელი გახადა ფართოდ და ყოველმხრივ განგვეხილა იგი.

კანონის პროექტის განხილვაში, რომელიც სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში გაიმართა, გამოიხატა მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხის ფიქრები და გრძნობები.

რა საერთო დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ განხილვიდან, რომელიც ამ სესიაზე მოეწყო?

ვფიქრობ შეიძლება გამოვიტანოთ ორი ძირითადი დასკვნა: ჯერ-ერთი, სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი შეესაბამება ჩვენი პარტიის XX ყრილობის მითითებებს და, მეორე, კანონის პროექტი შეესაბამება მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს.

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიამ, განაზოგადა რა კანონის პროექტის ცალკეული მუხლების შესწორებანი და დამატებანი, სწორად გამოჰყო და სესიის განსახილველად შემოიტანა ყველაზე ძვირფასი და მისაღები ამ დამატებებიდან.

თავიანთ გამოსვლებში სესიაზე უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ერთსულოვნად მოიწონეს კანონის ძირითადი დებულებანი, ხხარი დაუჭირეს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიების მიერ შეტანილ წინადადებებსა და შესწორებებს და შემოიტანეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დამატებანი.

ამრიგად, სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტმა გამოიწვია მშრომელთა ცხოველი ინტერესი და შემოქმედებითი ინიციატივა, ხოლო კანონის პროექტის განხილვის რიგმა, რომელიც სესიაზე ბივიღეთ, შესაძლებელი გახადა გამოგვეყენებინა ხალხის ეს ინიციატივა. კანონის პროექტის განხილვამ ერთხელ კიდევ დაგვანახვა პარტიის, მთავრობისა და ხალხის ღრმა და ურღვევი კავშირი. (ტაში).

ასაკისა და მუშაობის სტაჟის შესახებ

მეტი წილი წინადადებანი, დამატებანი და შესწორებანი კანონის პროექტისადმი ეხება მოხუცებულობის პენსიის დასანიშნავად საჭირო ასაკსა და მუშაობის სტაჟს.

კანონის პროექტში გამოყოფილია მუშათა და მოსამსახურეთა სამი ჯგუფი მოხუცებულობის პენსიის დანიშვნის პირობების მიხედვით: ერთი ჯგუფია მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც მუშაობენ მიწისქვეშა სამუშაობებზე, შრომის მავნე პირობებიან სამუშაოზე და ცხელ საამქროებში. მშრომელთა ამ ჯგუფისათვის კანონის პროექტი აწესებს შემდეგ მოთხოვნებს მოხუცებულობის პენსიის დასანიშნავად: ასაკი მამაკაცისათვის 50 წელი და ქალისათვის 45 წელი; მუშაობის სტაჟი მამაკაცისათვის 20 წელი და ქალისათვის 16 წელი. აქ შემოტანილია შესწორება — ქალისათვის სტაჟი 15 წლამდე შემცირდეს. ეს სწორად მიჩნეულია, მაშ მივიღოთ 15 წელი.

მინდა მოგაგონოთ ეს ჯგუფები, რათა უფრო ნათელი იყოს, თუ რაზეა აქ ლაპარაკი.

მაშასადამე, პირველი ჯგუფი ითვალისწინებს მამაკაცისათვის ასაკს 50 წელს და ქალისათვის 45 წელს. თქვენ შეამჩნიეთ, რომ მე ხაზგასმით აღვნიშნე სიტყვები: ქალისათვის 45 წელი, და იფიქრეთ — ალბათ ქალებს აღარაფერს დაუმატებენო. არა, ზოგი რამ იქნება, ამხანაგებო. **(დარბაზში გამოცოცხლებაა. სიცილი, ტაში).**

მშრომელთა მეორე კატეგორიას, რომელზეც მოხსენებაში ვილაპარაკე, ეკუთვნიან შრომის ძნიმე პირობებში მომუშავენი, მაგალითად, მეყალიბეები, მემოქლონეები. აქ დაწესებულია ასაკი მამაკაცისათვის 55 წელი და მუშაობის სტაჟი 25 წელი, ხოლო ქალისათვის — 50 წელი და მუშაობის სტაჟი 20 წელი.

დასასრულ, მესამე ჯგუფი, რომელსაც მოხუცებულობის პენსია ენიშნება: მამაკაცს 60 წელი რომ შეუსრულდება და მუშაობის სტაჟი 25 წელი ექნება, ხოლო ქალს 55 წელი შეუსრულდება და მუშაობის სტაჟი სულ ცოტა 20 წელი ექნება.

აბა ახლა გადაწყვიტეთ — როგორ მოვიქცეთ? ამბობდნენ: მოხუცებულობის პენსიის დასანიშნავად საჭირო ასაკი ხუთი წლით შევამციროთო.

ჩვენ ვიმსჯელეთ ამ საკითხზე. მინდა გიამბოთ, როგორ ვიმსჯელეთ და რა გამოდის.

ვთქვათ, მესამე ჯგუფში ხუთი წლით რომ შევამციროთ ასაკი და დავუშვათ მამაკაცისათვის არა 60 წელი, არამედ 55 წელი, მაშინ ასაკი წინა ჯგუფშიც უნდა შემცირდეს. მაშასადამე, იქ მამაკაცისათვის ასაკი 55 წელი კი აღარ იქნება, არამედ 50. ასე რომ ვიროთ, პირველ ჯგუფში მამაკაცი პენსიის უფლებას 45 წლის ასაკში მიიღებს.

ახლა ვნახოთ, რა მოუვა მოხუცებულობის პენსიას ქალისათვის.

კანონის პროექტით მესამე ჯგუფში ქალს პენსიის უფლება აქვს, 55 წელს რომ მიაღწევს. ხუთი წლით რომ შევამციროთ, გამოვა 50 წელი. მაშინ შუალედ, მეორე ჯგუფში, სადაც კანონის პროექტით ქალს პენსიის უფლება ეძლევა 50 წლის მიღწევისას, იგი ამ უფლებას მიიღებს 45 წლის ასაკში. ბოლოს, პირველ ჯგუფში, იქ, სადაც ახლა დაწესებულია მოთხოვნა ასაკის მხრივ 45 წელი, ქალს პენსიის უფლება მიენიჭება 40 წლის ასაკში.

აი ასეა საქმე.

ამრიგად, თუ ხუთი წლით შევამცირებთ ასაკს, რომელიც საჭიროა შრომის დიდი სტაჟის მქონე მუშებისა და მოსამსახურეებისათვის მოხუცებულობის პენსიის დასანიშნავად, ამასთან გავავრცელებთ ამ შესწორებას მუშათა და მოსამსახურეთა ყველა ჯგუფზე, მაშინ ბევრ მუშასა და მოსამსახურეს შეუძლია პენსიაზე გავიდეს საკმაოდ ადრე ასაკში.

ხოლო თუ პირველ და მეორე ჯგუფში არ შევამცირებთ მოთხოვნას ასაკის მხრივ, არამედ შევამცირებთ მხოლოდ მესამე ჯგუფში (მაგალითად, მამაკაცისათვის 60-დან 55 წლამდე), მაშინ პენსიით უზრუნველყოფაში მივიღებთ გათანაბრებას, სახელდობრ: შრომის მძიმე პირობებში დასაქმებული მუშები და მოსამსახურეები პენსიას მიიღებენ იმავე ასაკში, რომელშიც ჩვეულებრივ პირობებში მომუშავენი.

როგორც ხედავთ, გამოდის, რომ შესწორება შრომის დიდი სტაჟის დროს ასაკის შემცირების შესახებ არ შეგვიძლია მივიღოთ.

მიუხედავად ამისა, მთავრობას სწორად მიაჩნია შემოღებულ იქნას ერთგვარი შეღავათი მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებსაც შრომის დიდი სტაჟი აქვთ.

რა სახით უნდა მიეცეთ ეს შეღავათი?

ჩვენი შეხედულებით, ყველაზე სწორი იქნება დავაწესოთ ეს შეღავათი პენსიის დამატებითი დანამატის სახით.

კანონის პროექტში ნათქვამია, რომ დამატებითი დანამატი მუშებსა და მოსამსახურეებს ეძლევათ 15 წელზე მეტი მუშაობის განუწყვეტელი სტაჟისათვის. მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია დააწესოს, რომ მოხუცებულობის პენსიის დანამატი დაენიშნოს 15 წელზე მეტი განუწყვეტელი სტაჟისათვის ან შრომის საერთო სტაჟისათვის — მამაკაცებს, რომლებსაც უმუშავნიათ არანაკლებ 35 წლისა, ხოლო ქალებს, რომლებსაც უმუშავნიათ არანაკლებ 30 წლისა, — პენსიის 10 პროცენტის ოდენობით.

რაც შეეხება მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც მოხუცებულობის პენსიებს იღებენ შეღავათიან პირობებში, მათ პენსიის დანამატი უნდა დაუწესდეთ იმ შემთხვევებში, როდესაც საერთო სტაჟი 10 წლით აღემატება კანონით დაწესებულ სტაჟს.

ეს სწორი და სამართლიანი იქნება.

პენსიით უზრუნველყოფაში ქალებისათვის შეღავათების შესახებ

ამ საკითხს პრესაში, კრებებზე და აქ სესიაზე დიდი ყურადღება ჰქონდა დათმობილი.

რა შეღავათებია გათვალისწინებული კანონის პროექტში ქალთათვის?

როგორც უკვე ვთქვი, შრომის პირობების მიხედვით, კანონის პროექტით მოხუცებულობის პენსიები ქალებს ენიშნებათ 55, 50 და 45 წლის ასაკში, — თვითეულ ჯგუფში ხუთი წლით ადრე, ვიდრე მამაკაცებს.

გარდა ამისა, საერთო დაავადების შედეგად ინვალიდობის პენსიების დანიშვნისას, როცა საჭიროა გარკვეული სტაჟი პენსიის მისაღებად, ეს სტაჟი წესდება ქალებისათვის ოგრეთვე ნაკლები ოდენობით, ვიდრე მამაკაცთათვის.

შემდეგ, არის წინადადება მუშაობის დიდი საერთო სტაჟისათვის მოხუცებულობის პენსიის დანამატი ქალებს დაუწესდეთ 30 წლის მუშაობის სტაჟის დროს, მაშინ როდესაც მამაკაცებისათვის საჭიროა 35 წლის სტაჟი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კანონის პროექტში არ დაგვვიწყებია მშრომელი ქალები და პენსიით უზრუნველყოფის კარგ პირობებს ვქმნით მათთვის.

მაგრამ, არ სჯერდება რა ამას, მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია დაწესდეს დამატებითი შეღავათი მრავალშვილიანი ქალებისათვის და შემოაქვს წინადადება მიღებულ იქნას ამ საკითხზე შესწორება, რომელიც შემოიტანა საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიამ და რომელსაც ბარი დაუჭირეს დეპუტატებმა.

ეს შესწორება ითვალისწინებს, რომ ქალებს, რომლებმაც შობეს ხუთი და მეტი შვილი და აღზარდეს რვა წლის ასაკამდე, მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება ენიჭებათ, როდესაც შეუსრულდებათ 50 წელი (55 წლის ნაცვლად) და ექნებათ მუშაობის სტაჟი არანაკლებ 15 წლისა (20 წლის ნაცვლად), თუ მათ შრომის პირობების მიხედვით არა აქვთ უფლება მოხუცებულობის პენსია მიიღონ უფრო ადრე ასაკში.

ეს შესწორება, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ითვალისწინებს მრავალშვილიანი საბჭოთა ქალების ინტერესებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, და იგი უდავოდ უნდა მივიღოთ.

ინვალიდობის პენსიების შესახებ

კანონის პროექტი ითვალისწინებს შრომის ინვალიდთა მატერიალური უზრუნველყოფის სერიოზულ გაუმჯობესებას.

როგორც უკვე აღვნიშნე მოხსენებაში, ინვალიდობის პენსიების ოდენობა საერთო ნორმებით, რომლებიც ეხება მუშათა და მოსამსახურეთა უმრავლესობას, დიდდება კანონის პროექტით, მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით, ერთიორად და მეტად. ამასთან კანონის პროექტი სპობს მთელ რიგ ზედმეტ შეზღუდვებს მუშათა და მოსამსახურეთა უფლებაში მიიღონ ინვალიდობის პენსია.

მშრომელთა წინადადებებში, დეპუტატთა გამოსვლებში და საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თანამოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ საჭიროა შემდგომ გაფართოვდეს იმ პირთა წრე, რომლებსაც აქვთ ინვალიდობის პენსიის მიღების უფლება.

საქმე ეხება ბავშვობიდან ინვალიდებს, ეხე იგი იმთა, ვინც ინვალიდია დაბადებთან ან უბედური შემთხვევის გამო, რაც ბავშვობისას მოუვიდა.

კანონის პროექტით ინვალიდობის პენსიები ენიშნებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინვალიდობა მოხდა მუშაობის პერიოდში ან მისი შეწყვეტის შემდეგ. ეს პენსიით უზრუნველყოფის არათანაბარ პირობებში აყენებს მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც ინვალიდები გახდნენ მუშაობის პერიოდში და რომლებსაც პენსიის უფლება აქვთ, და მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც ინვალიდები გახდნენ ბავშვობიდან და რომლებსაც ასეთი უფლება არა აქვთ.

ამასთან დაკავშირებით გამოითქვა წინადადებანი, რომ ინვალიდობის პენსია დაენიშნოთ აგრეთვე იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ინვალიდები გახდნენ მუშაობის დაწყებამდე.

მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ამ შესწორების მიღება.

კანონის პროექტი, ისევე როგორც მოქმედი კანონმდებლობა, ითვალისწინებს, რომ შრომითი დაშავების ან პროფესიული დაავადების შედეგად ინვალიდობის პენსია ინიშნება შრომის სტაჟის მიუხედავად, ხოლო საერთო დაავადების შედეგად ინვალიდობის პენსია ინიშნება მაშინ, თუ არის გარკვეული სტაჟი. მაგრამ თვითონ კანონის ტექსტში ეს სტაჟი დაწესებული არ არის.

კავშირის საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიამ და დეპუტატებმა თავიანთ გამოსვლებში წინადადება შემოიტანეს აღინიშნოს თვით კანონში საერთო დაავადების შედეგად ინვალიდობის პენსიის დასანიშნავად საჭირო სტაჟი და, მოქმედი კანონმდებლობის მსგავსად, დაწესდეს, რომ ამ სტაჟის ოდენობა თანაბარი არ უნდა იყოს ასაკის მიხედვით და, როგორც უკვე ვთქვი, შეღავათიანი უნდა იყოს ქალებისათვის.

ამ წინადადების მიღება მეტ სიცხადეს შეიტანს მუშა-მოსამსახურეთა უფლებაში ინვალიდობის პენსიის მიღებაზე და ამიტომ მას მხარი უნდა დავუჭიროთ.

ბავშვობიდან ინვალიდობის პენსიის შემოღებასთან დაკავშირებით უნდა დავეთანხმოთ საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის წინადადებას და აღვნიშნოთ კანონში, რომ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც ინვალიდები გახდნენ საერთო დაავადების შედეგად 20 წლის ასაკის მიღწევამდე (თუ ინვალიდობა მოხდა მუშაობის დაწყებამდე), პენსია ენიშნებათ, თუ აქვთ სულ ცოტა ერთი წლის მუშაობის სტაჟი.

ასეთია ინვალიდობის პენსიების საკითხის მდგომარეობა.

სამხედრო მოსამსახურეთა და მათი ოჯახების პენსიით უზრუნველყოფის შესახებ

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თანამოხსენებასა და დეპუტატების გამოსვლებში შემოტანილია ძვირფასი შესწორებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პენსიონერ სამხედრო მოსამსახურეთა მატერიალური უზრუნველყოფის შემდგომ გაუმჯობესებას.

კანონის პროექტით ვადიანი სამსახურის რიგითი, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის ინვალიდ სამხედრო მოსამსახურეებს პენსია ენიშნებათ, სამხედრო მოსამსახურის წინა მუშაობის მიუხედავად, ესე იგი არა მარტო სამხედრო მოსამსახურეებს მუშებისა და მოსამსახურეების რიცხვიდან, არამედ იმთაც, ვინც არმიაში გაწვევამდე მუშა და მოსამსახურე არ ყოფილა (კოლმეურნეები, მოსწავლეები და სხვები).

ინვალიდ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც არმიაში გაწვევამდე მუშა და მოსამსახურე იყვნენ, კანონის პროექტით პენსია უნდა ეწიშნებოდეთ მათი გამომუშავების გარკვეული პროცენტის ოდენობით, ამასთან პენსია გამოიანგარიშება არა გამომუშავების თანხიდან 400 მანეთის ფარგლებში, როგორც ეს მოქმედი კანონმდებლობის დროს არის, არამედ მთელი გამომუშავებიდან, რაც უზრუნველყოფს ამ ჯგუფის სამხედრო მოსამსახურეთა პენსიის ოდენობის სერიოზულ გადიდებას.

იბადება კითხვა, რა ვუყოთ ინვალიდ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც მუშა ან მოსამსახურე არ ყოფილან? კანონის პროექტში, რომელიც მთავრობამ თქვენს განსახილველად წარმოადგინა, აღნიშნულია, რომ ამ კატეგორიათა სამხედრო მოსამსახურეებს პენსია უნდა დაენიშნოთ მტკიცე ოდენობით, რომელიც უნდა განსაზღვროს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

პენსიების ეს მტკიცე ოდენობა განზრახული იყო დაგვეწესებინა დებულებით სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის შესახებ. ამასთან მხედველობაში გვქონდა მნიშვნელოვნად გაგვედიდებინა ამჟამად მოქმედი ნორმები ინვალიდი სამხედრო მოსამსახურეებისათვის და განსაკუთრებით სამხედრო მოსამსახურეთა იმ ოჯახებისათვის, რომლებმაც მარჩენალი დაკარგეს.

მაგრამ, როგორც განხილვამ დაგვანახვა, უმჯობესია პენსიის მტკიცე ოდენობა ახლა დავასახელოთ თვითონ კანონში, რათა სიცხადე შევიტანოთ ამ საკითხში. მთავრობას სწორად მიაჩნია ეს წინადადება და შემოაქვს წინადადება დავეთანხმოთ მას.

წამოიჭრა კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც აქ დეპუტატები შეეხნენ. კანონის პროექტით I და II ჯგუფების ინვალიდ სამხედრო მოსამსახურეებს (არამომუშავეებს), რომლებიც არმიაში გაწვევამდე მუშად და მოსამსახურედ მუშაობდნენ, უწესდებათ პენსიის დანამატი ოჯახის არაშრომისუნარიან წევრებზე: ოჯახის ერთ არაშრომისუნარიან წევრზე — პენსიის 10 პროცენტი, ოჯახის ორ ან მეტ არაშრომისუნარიან წევრზე — 15 პროცენტი. იმ ინვალიდი სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომლებიც არმიაში გაწვევამდე მუშად და მოსამსახურედ არ მუშაობდნენ, დიდოჯახიანობის დანამატი კანონის პროექტით გათვალისწინებული არ არის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნია, რომ მხარი უნდა დავუჭიროთ სესიაზე შემოტანილ წინადადებას და დამატებით გავავრცელოთ ეს დანამატი აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეებზე, რომლებსაც არმიაში გაწვევამდე მუშად ან მოსამსახურედ არ უმუშავნიათ.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეებს ეხებათ.

საქმე ეხება ოფიცერთა შემადგენლობას და ზევადიანი სამსახურის რიგითი, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებს. ისინი პენსიას იღებენ განსაკუთრებული დებულებით, რომელიც დადგენილია მინისტრთა საბჭოს მიერ. მაგრამ არის შემთხვევები, როცა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილთ ჯერ კიდევ არა აქვთ პენსიის უფლება, როგორც შესაბამისი კატეგორიის სამხედრო მოსამსახურეებს. საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიამ და ზოგიერთმა დეპუტატმა მხარი დაუჭირეს იმას, რომ ამ პირებსა და მათს ოჯახებს პენსია დაენიშნოთ მუშებთან და მოსამსახურეებთან საერთო საფუძვლებზე. ამ წინადადებას მხარი უნდა დავუჭიროთ.

პენსიით უზრუნველყოფის სხვა საკითხებზე შესწორებათა შესახებ

გარდა ჩამოთვლილი შესწორებებისა, მინისტრთა საბჭოს შესაძლოდ მიაჩნია კანონის პროექტისათვის მიეცეს შემდეგი დამატებანი, რომელთა ნაწილს დაზუსტების ხასიათი აქვს ან საკანონმდებლო წესით განამტკიცებს არსებულ პრაქტიკას.

მშრომელთა წერილებში და საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის თანამოხსენებაში აღნიშნულია, რომ მიზანშეწონილია შემცირდეს უსინათლო მუშა-მოსამსახურეებისათვის მოხუცებულობის პენსიის დასანიშნავად საჭირო ასაკი და სტაჟი, დაწესდეს, რომ ამ შემთხვევაში მოხუცებულობის პენსია უნდა დაენიშნოს: მამაკაცს, როცა 50 წელს მიაღწევს და 15 წლის სტაჟი ექნება, ქალს — როცა 40 წელს მიაღწევს და 10 წლის სტაჟი ექნება.

ეს შესწორება მშრომელთა მცირე ჯგუფს ეხება. მთავრობის აზრით, იგი სამართლიანია და მხარი უნდა დავუჭიროთ.

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიამ მოითხოვა შევიტანოთ დაზუსტება იმის შესახებ, რომ მოხუცებულობის პენსია ენიშნებათ მხოლოდ იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც უმუშავნიათ სულ ცოტა სამი წელი უშუალოდ პენსიის მისაღებად მიმართვის წინ, აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ არასრული სტაჟის მიხედვით დანიშნული მოხუცებულობის პენსია ეძლევათ მხოლოდ არამომუშავე პენსიონერებს.

ეს წინადადება უნდა მივიღოთ.

აგრეთვე უნდა მივიღოთ წინადადება, რომელიც ეხება შვილად ამყვანთა და ნაშვილებთა უზრუნველყოფას პენსიით.

ამ წინადადების არსი ის არის, რომ განვამტკიცოთ მოქმედი კანონმდებლობით მიღებული წესი, რომლის დროსაც შვილად ამყვანს პენსიის უფლება აქვს მშობლების თანაბრად, ხოლო ნაშვილებს — ღვიძლი შვილების თანაბრად, და დამატებით აღვნიშნოთ, რომ არასრულწლოვანი, რომელსაც პენსიის უფლება აქვს მარჩენალის დაკარგვის გამო, ამ უფლებას ინარჩუნებს შვილად აყვანის დროსაც.

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას შემოაქვს წინადადება აღინიშნოს კანონში, რომ პენსიის დანიშვნისათვის შეუძლიათ მიმართონ ყოველ დროს პენსიის მიღების უფლების წარმოშობის შემდეგ, ამ უფლების შეუზღუდავად რაიმე ვადით. როგორც უკვე ვთქვი ჩემს მოხსენებაში, კანონის პროექტში, მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავებით, გათვალისწინებული არ არის შეზღუდვის ვადები პენსიის მისაღებად მიმართვისათვის. მაგრამ კომისიის წინადადებას მეტი სიცხადე შეაქვს ამ საკითხში და მიზანშეწონილია შევიტანოთ ასეთი დამატება კანონის პროექტში.

სწორი და მისაღებია შესწორება, რომელიც შეიცავს წინადადებას კანონდებით განვამტკიცოთ ის წესი, რომ პენსიონერებს, რომლებმაც პენსიის დანიშვნის შემდეგ იმუშავეს სულ ცოტა ორი წელი უფრო მაღალი ხელფასით, ეიღრე იყო ის ხელფასი, საიდანაც მათ გამოუანგარიშეს პენსია, უფლება ეძლევათ მიმართონ პენსიის გადაანგარიშებისათვის ამ უფრო მაღალი ხელფასის საფუძველზე. ეს დამატება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამამულო ომის ინვალიდი პენსიონერებისათვის, რადგან ბევრი მათგანი არმიაში გაწვევამდე იღებდა დაბალ, ახლანდელ საერთო დონესთან შედარებით, ხელფასს.

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიამ წარმოადგინა აგრეთვე შემდეგი დაზუსტება პენსიის გამოანგარიშებისას გამომუშავების განსაზღვრის წესში: აღინიშნოს, რომ, სხვა ერთდროული გადახდისაგან განსხვავებით, ყოველწლიური ჯილდო ნამსახურობისათვის შეტანილ უნდა იქნას გამომუშავების თანხაში, რომლიდანაც გამოიანგარიშება პენსია. ამ შესწორების შეტანა უზრუნველყოფს გამომუშავების განსაზღვრის ერთნაირ წესს პენსიის გამოანგარიშებისას იმ დარგებში, სადაც ჯილდო ნამსახურობისათვის ეძლევათ ყოველთვიურად და ყოველწლიურად, რაც სამართლიანია.

კანონის პროექტში არ არის ჩაწერილი, რომელი ორგანო დანიშნავს პენსიებს. დაზუსტების წესით, საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიას შემოაქვს წინადადება აღინიშნოს, რომ პენსიებს ნიშნავენ სპეციალური კომისიები, რომლებიც იქმნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოების აღმასკომებთან. მთავრობის აზრით, ასეთი დამატება, რომელიც კანონმდებლობით განამტკიცებს არსებულ პრაქტიკას, მისაღებია. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პენსიების დანიშვნა ჩვენში ხორციელდება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების კონტროლით, რაც გამოხატავს სსრ კავშირში პენსიით უზრუნველყოფის ღრმა დემოკრატიულ ხასიათს.

* * *

ასეთია ძირითადი შესწორებანი და დამატებანი, რომლებსაც მინისტრთა საბჭო მხარს უჭერს და შემოაქვს წინადადება შეტანილ იქნან სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის საბოლოო რედაქციაში.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი შესწორება და წინადადება, შემოტანილი სესიაზე, არ შეიძლება იქნას მიღებული და არა იმიტომ, რომ ისინი ცუდია.

ავიღოთ ასაკის საკითხი. რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა მოხუცებულობის პენსიის მიღების ასაკი მამაკაცებისა და ქალებისათვის შეგვემცირებინა ხუთი წლით. ვის შეუძლია თქვას, რომ ეს ცუდია? ეს ძალიან კარგი იქნებოდა. მაგრამ, ამხანაგებო, საჭიროა ფულიც ვითვალოთ და, როგორც იტყვიან, საბანი როგორც გაგწვდეს, ფეხი ისე გაჭიმეო.

კანონი, რომელიც ჩვენ შემოგვაქვს, რათა მიიღოთ, ღარიბი კანონი როდია. მე უკვე ვთქვი მოხსენებაში, რომ თუ არ მივიღებთ შემოტანილი კანონის პროექტის არავითარ შესწორებას, საჭირო იქნება გავიღოთ 12 მილიარდი 600 მილიონი მანეთი იმ 25 მილიარდი მანეთის დამატებით, რომელიც ამჟამად ბიუჯეტით ხმარდება ამ მიზნებს.

კანონის პროექტის შესწორებები, რომლებიც მთავრობას ახლა შემოაქვს, რათა მიიღოთ, მოითხოვენ კიდევ ნახევარი მილიარდი მანეთის დამატებითს ასიგნებას. ამიტომ კანონის პროექტის შესწორებათა განხილვისას საჭიროა, რა თქმა უნდა, გავითვალისწინოთ ჩვენი სახსრები და შესაძლებლობანი.

მე მინდა ამ აზრის საილუსტრაციოდ მოვიყვანო ზოგიერთი მაგალითი.

აი, მაგალითად, ამბობდნენ, რომ მოხუცებულობის პენსია უნდა დაენიშნოთ მამაკაცებს, რომლებსაც აქვთ 35 წელზე მეტი მუშაობის სტაჟი, 55 და არა 60 წლის მიღწევის შემდეგ, ხოლო ქალებს, რომლებსაც აქვთ 25 წელზე მეტი მუშაობის სტაჟი, 50 და არა 55 წლის მიღწევის შემდეგ. ეს შესწორება რომ მიგვეღო, საჭირო იქნებოდა დამატებით 700 მილიონი მანეთის ასიგნება. ან, მაგალითად, ამბობდნენ, რომ კარგი იქნება მუშა და მოსამსახურე ქალებს მოხუცებულობის პენსია დაენიშნოთ 50 და არა 55 წლის მიღწევის შემდეგ, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონის პროექტით (გარდა იმ ქალებისა, რომლებსაც პენსია დაენიშნებათ შეღავათიან პირობებში 45 წლის მიღწევის შემდეგ). რა თქმა უნდა, ქალები ასეთი შესწორებისათვის მადლობას გვეტყოდნენ. მაგრამ თუ ამ შესწორებას მივიღებთ, დაგვჭირდება 1 მილიარდი 200 მილიონი მანეთის დამატებითი ასიგნება წელიწადში.

ან ავიღოთ მესამე საკითხი, რომელიც აქ წამოიჭრა — I და II ჯგუფის ინვალიდებს პენსიები დაენიშნოთ იმ ოდენობით, რაც დაწესებულია იმათთვის, ვინც პენსიას იღებს მოხუცებულობის გამო. კანონის პროექტით მოხუცებულობის პენსიების ოდენობა შეტანილ შემთხვევებში უფრო მაღალი იქნება, ვიდრე ინვალიდობის პენსიებისა. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა ყველა შემთხვევაში გაგვედიდებინა ინვალიდობის პენსიები მოხუცებულობის პენსიების დონემდე. მაგრამ თუ ეს წინადადება მივიღეთ, დაგვჭირდება ორ მილიარდ მანეთზე მეტის დამატებითი ასიგნება. და ასე შემდეგ.

ამიტომ, ამხანაგო დეპუტატებო, მთავრობა და პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამბობენ: მოდით ყველაფერს ერობაშად ნუ გადავწყვეტთ, დადგება დრო და ამასაც გავაკეთებთ.

დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ კანონი, რომელიც დამატებით მოითხოვს სახელმწიფო ხარჯებს 13 მილიარდი მანეთის რაოდენობით წელიწადში. ეს ცხადყოფს ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების ზრდას, მის უდიდეს შესაძლებლობებს. გაივლის კიდევ გარკვეული დრო და ჩვენ შევძლებთ დავუბრუნდეთ საკითხებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ხალხისათვის, და გადავჭრათ ისინი..

ვიმეორებ, რომ იმ შესწორებებს, რომელთა მიღება დღეს ჩვენ არ შეგვიძლია, არ ვიღებთ არა იმიტომ, რომ ისინი არ არის სწორი (თუმცა მათ შორის, შესაძლებელია, ერთი ნაწილი იყოს არასწორიც), არამედ უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ახლა დავაკმაყოფილოთ ყველა სურვილი.

მე ვამთავრებ ამხანაგებო.

უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოდგენილი სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი მოწმობს, რომ ჩვენი პარტია და მთავრობა თანმიმდევრულად ასრულებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. მთელ თავიანთ საქმიანობას პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა უქვემდებარებენ ხალხის ინტერესებს, მისი მატერიალური კეთილდღეობის განუწყვეტელ გაუმჯობესებას. კანონის პროექტი ასახავს საბჭოთა ადამიანების ინტერესებს და შეესაბამება მათს სურვილებს.

ახლა, როდესაც კამათი უკვე დამთავრდა, შესაძლებელია გავაერთიანოთ ყველა შესწორება, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისაღებად მიაჩნია. ყველა დეპუტატი მიიღებს მათ წერილობითი სახით და, ამრიგად, შეეძლება საფუძვლიანად გაეცნოს, სანამ ხვალ შევუდგებოდეთ ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებას.

მთავრობა გამოთქვამს რწმენას, რომ უმაღლესი საბჭო გულდასმით განიხილავს კანონის პროექტის საბოლოო ტექსტს ყველა შეტანილი შესწორებით და მოიწონებს მთავრობის წინადადებებს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

ეროვნებათა საბჭოს და კავშირის საბჭოს სხდომები

13 ივლისს დღის 3 საათზე ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ვ. ტ. ლაცისის** თავმჯდომარეობით გაიხსნა **ეროვნებათა საბჭოს** სხდომა.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ს. იშანტურაევას** (ყარა-კალფაკეთის ასსრ). საბჭოთა მთავრობა, თქვა მან, წლითიწლობით სულ უფრო და უფრო მეტ სახსრებს გამოჰყოფს მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისათვის. მიმდინარე წელს მარტო უზბეკეთში ახალი კანონის თანახმად გადიდებული პენსიების გათვალისწინებით ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯება მილიარდამდე მანეთი.

დეპუტატი **ს. ე. ზორიანი** (სომხეთის სსრ) შეეხო სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაობას, რომელთა საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებანია. ახალი კანონის მიღებასთან დაკავშირებით პენსიონერთა რიცხვი მნიშვნელოვნად გადიდდება. საჭიროა გავაუმჯობესოთ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაობა, მოვაწესრიგოთ მათი შტატები, გავამარტივოთ დაფინანსების წესი.

ორატორს წინადადება შეაქვს გადაისინჯოს მოძველებული ინსტრუქცია ინვალიდობის ჯგუფის დადგენის წესის შესახებ, ექიმი-ექსპერტებისათვის შრომის ანაზღაურების სისტემა.

— სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტი შეესაბამება ყველა მშრომელის ინტერესებს, — თქვა დეპუტატმა **ზ. მ. ბარტუშკენემ** (ლიტვის სსრ). — ახალი კანონი, რასაკვირველია, დამატებით სახსრებს მოითხოვს, რაც მილიარდ მანეთობით აღირიცხება. ასეთი უდიდესი ხარჯის გაწევა მხოლოდ ისეთ ქვეყანას შეუძლია, რომელიც დარწმუნებულია თავის ძალებში, რომელიც იბრძვის მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **მ. ზ. აზიზოვს** (თათრეთის ასსრ). აღნიშნა რა, რომ რესპუბლიკის მშრომელები იწონებენ პენსიების კანონპროექტს, ამხ. აზიზოვმა თქვა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაობა. მან მთელი რიგი პრეტენზიები წაუყენა რუსეთის სფსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს.

ტრიბუნაზეა დეპუტატი **ვ. პ. დიკანი,** ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის კადრის მუშა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო პენსიების ახალ კანონს მშრომელი ადამიანისათვის, მისი ცხოვრების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ჩვენ, საბჭოთა მუშებმა, ამბობს იგი, რომლებიც საკუთარი ხელით ვქმნით სამშობლოს სიმდიდრეს, ვიცით, რომ მხოლოდ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდის მეოხებით განუხრელად უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. ამიტომ, მივესალმებით რა ახალ კანონს, გამრავლებთ ჩვენს შრომითს წარმატებებს, მივცემთ სახალხო მეურნეობას მეტ პროდუქციას.

დეპუტატმა **ნ. დ. შებზუხოვამ** (ყაბარდოს ასსრ) ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა უმაგალითოდ შეიცვალა მთიელი ქალების მდგომარეობა. ყაბარდოელი ქალები ახლა შრომობენ ფაბრიკებში, ქარხნებში, სოფლის მეურნეობაში, სწავლობენ სასწავლებლებში, აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ყველაფერი ეს მათ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა.

მე, ამბობს იგი, სიხარულით ვუჭერ მხარს წინადადებას, რომ დამტკიცდეს კანონის პროექტი საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის დამატებებით.

დეპუტატი **ა. ვ. კარავაევი** (უდმურტეთის ასსრ) ლაპარაკობს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის სწრაფ ზრდაზე.

სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის გამოქვეყნების შემდეგ რესპუბლიკის ფაბრიკებსა და ქარხნებში, სატყეო მრეწველობის საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში აქტიურად განიხილავდნენ მას. მშრომელები, განაცხადა ორატორმა, სულით და გულით მიესალმებიან ამ კანონს.

სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე დეპუტატებმა **ლ. ა. ილისონმა** (ესტონეთის სსრ), **ი. ს. ბელიაევმა** (კარელია-ფინეთის სსრ), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **ი. ვ. გოროშკინმა,** უზბეკეთის სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა **ვ. ს. სადიკოვამ.**

ეროვნებათა საბჭო იღებს გადაწყვეტილებას კამათის შეწყვეტის შესახებ.

საბოლოო სიტყვას ამბობს ამხ. **ნ. ა. ბულგანინი.**

* * *

14 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია მუშაობას განაგრძობდა.

დილის 9 საათზე გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს სხდომა. თავმჯდომარეობს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ვ. ტ. ლაცისი.**

ეროვნებათა საბჭო გადადის სახელმწიფო პენსიების კანონის მიღებაზე. დეპუტატები ერთსულოვნად ამტკიცებენ კანონის განყოფილებებს. შემდეგ მთელი დარბაზის ტაშის გრიალში კანონს იღებენ ერთხმად.

შემდეგ ეროვნებათა საბჭო განიხილავს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების საკითხს. სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს დეპუტატ **ნ. ვ. პეგოვს.**

ამხ. პეგოვი ეროვნებათა საბჭოს მოახსენებს იმ საკითხებზე, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა მეოთხე და მეხუთე სესიებს შორის, და მათ შესახებ მიღებულ ბრძანებულებებს. იგი დაწვრილებით ლაპარაკობს საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 121-ე მუხლის ცვლილებასთან.

ამ მუხლის მოქმედ ტექსტში აღნიშნულია, ამბობს დეპუტატი პეგოვი, რომ სსრ კავშირის მოქალაქეთა განათლების უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი განათლებით. როგორც ცნობილია, სსრ კავშირში უკვე განხორციელებულია საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ხოლო დიდ ქალაქებში, ძირითადად, შემოღებულია ათწლიანი განათლება. ამასთან დაკავშირებით შეტანილ უნდა იქნას ცვლილება კონსტიტუციის 121-ე მუხლში და ჩაიწეროს, რომ სსრ კავშირის მოქალაქეთა განათლების უფლება უზრუნველყოფილია არა დაწყებითი, არამედ საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი განათლებით და საშუალო განათლების ფართო განვითარებით.

კონსტიტუციის ამავე მუხლით დადგენილია, რომ მოქალაქეთა განათლების უფლება უზრუნველყოფილია უფასო შვიდწლიანი განათლებით. როგორც პრესაში იყო გამოცხადებული, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1956 წლის 6 ივნისის დადგენილებით ახალი სასწავლო წლიდან გააუქმა სწავლის ქირა საშუალო სკოლის უფროს კლასებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში. ამიტომ 121-ე მუხლში უნდა ჩაიწეროს, რომ მოქალაქეთა განათლების უფლება უზრუნველყოფილია ყველა სახის — როგორც საშუალო, ისე უმაღლესი უფასო განათლებით.

ეროვნებათა საბჭო ერთსულოვნად იღებს კანონს სსრ კავშირის კონსტიტუციის 121-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ, ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებს.

თავმჯდომარე იუწყება, რომ მიღებულია დეპუტატ დ. ტ. შეპილოვის განცხადება. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნასთან დაკავშირებით, იგი თხოულობს გაათავისუფლონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან. ეროვნებათა საბჭო ამ თხოვნას აკმაყოფილებს.

ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად ირჩევენ დეპუტატ **ნ. ა. მუხიტდინოვს.**

ამით ეროვნებათა საბჭოს სხდომა დახურულად ცხადდება.

* * *

13 საათზე კავშირის საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ა. პ. ვოლკოვის** თავმჯდომარეობით გაიხსნა კავშირის საბჭოს სხდომა.

პალატა იწყებს სახელმწიფო პენსიების კანონის კენჭისყრას. დეპუტატები ერთხმად იღებენ კანონს.

შემდეგ კავშირის საბჭო გადადის დღის წესრიგის მეორე საკითხზე — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იმ ბრძანებულებათა დამტკიცებაზე, რომლებიც მიღებულია მეოთხე და მეხუთე სესიებს შორის. მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა **ნ. ვ. პეგოვმა.**

კავშირის საბჭო იღებს კანონს სსრ კავშირის კონსტიტუციის 121-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ. ეს ცვლილებები ასახავენ ჩვენი ქვეყნის წარმატებებს სახალხო განათლების განვითარებაში. მტკიცდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.

კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი **ვ. პ. მეკვანაძე** აცხადებს, რომ შემოსულია დეპუტატ ა. პ. ვოლკოვის განცხადება, რომლითაც იგი ითხოვს გაათავისუფლონ კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ მისი დამტკიცების გამო.

პალატა იღებს გადაწყვეტილებას დაკმაყოფილდეს დეპუტატ ა. პ. ვოლკოვის თხოვნა.

უხუცესთა საბჭოს წინადადებით კავშირის საბჭოს თავმჯდომარედ ირჩევენ **პ. პ. ლობანოვს.**

ამით დამთავრდა კავშირის საბჭოს სხდომა.

16 ივლისის დილის 9 საათზე გაიმართება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

(საკდესი).

საბჭოთა მთავრობის განცხადება

ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის 12 ივლისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ავსტრიის, ალბანეთის, ბელგიის, ბულგარეთის, დიდი ბრიტანეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბერძნეთის, დანიის, ისლანდიის, იტალიის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ფინეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, შვეციის, იუგოსლავიის მთავრობებს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას მოსკოვში მათი შესაბამისი საელჩოებისა და მისიების მეშვეობით გაუგზავნა ტექსტი საბჭოთა მთავრობის განცხადებისა „ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში სრულიად ევროპის თანამშრომლობის შესახებ“.

აღნიშნული განცხადების ტექსტი ამავე დროს ცნობად გაეგზავნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობებს მოსკოვში ამ ქვეყნების საელჩოების მეშვეობით.

ქვემოთ ქვეყნდება საბჭოთა მთავრობის განცხადების ტექსტი.

„დიდმა აღმოჩენებმა ატომის ენერგიის დარგში ბევრად გააფართოეს ტექნიკური პროგრესის, ენერგეტიკის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესების შესაძლებლობანი. შემდგომი განვითარება ატომის ენერგიის დარგში და მისი პრაქტიკული გამოყენება მეცნიერებასა და ტექნიკაში მოითხოვს შესაბამის საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკურ ბაზას, მოითხოვს სახელმწიფოთა კოლექტიურ ღონისძიებებს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის წარმოების ორგანიზაციისა და გამოყენების საქმეში.

ამჟამად, როცა წარსულს ბარდება „ცივი ომი“ და უნდობლობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში, რაც ხელს უშლიდა ყოველმხრივი საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას, იქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ მეატომე მეცნიერთა, ინჟინერთა და სხვა სპეციალისტთა ღონისძიებანი მოხმარდეს ატომის ენერგიის არა სამხედრო გამოყენებას, არამედ მის გამოყენებას მშვიდობიანი მიზნით, კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ატომური და წყალბადის იარაღის უთუო აკრძალვის შესახებ და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მისი ამოღების შესახებ საერთაშორისო შეთანხმების მიღწევა ფართო შესაძლებლობას შექმნიდა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენებისათვის, შესაძლებელს გახდიდა, რომ უდიდესი მატერიალური, მეცნიერულ-ტექნიკური და სხვა რესურსები ნგრევის საშუალებათა წარმოების სფეროდან გადაგვეტანა მატერიალური სიკეთისა და სულიერ ფასეულობათა შექმნის დარგში.

თანმიმდევრულად იბრძვის რა ატომური და წყალბადის იარაღის უთუო აკრძალვისათვის და ატომის ენერგიის მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისათვის, საბჭოთა მთავრობამ უკვე ამჟამად გადადგა საჭირო ნაბიჯები ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის. ამასთან საბჭოთა მთავრობა იმას ემყარება, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა ამ დარგში მთლიანად უნდა გამორიცხავდეს ომის მიზნებისათვის ატომის მასალების გამოყენებას, რომლებსაც იძლევიან შესაბამის შეთანხმებათა საფუძველზე.

თავისთავად იგულისხმება, რომ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში თანამშრომლობა შეიძლება ეფექტიანი იყოს მხოლოდ ყველა დაინტერესებული მხარის თანასწორუფლებიანობის, სახელმწიფოთა ეროვნული სუვერენიტეტის მტკიცე პატივისცემისა და მათს საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პირობებში, იმ დიდი პრინციპების ზუსტად დაცვისას, რომლებიც გამოხატულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში. ასეთი თანამშრომლობა ნაყოფიერი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ზიანს არ მიაყენებს ამა თუ იმ სახელმწიფოს უშიშროებას, ხოლო გაწეული დახმარება არ იქნება განპირობებული პოლიტიკური ან სამხედრო ხასიათის რაიმე მოთხოვნებით.

საბჭოთა კავშირი, როგორც ერთ-ერთი სახელმწიფო, რომელმაც აითვისა ატომის ენერგიის წარმოება და ფლობს ატომის ნედლეულს, აქტიურად მონაწილეობს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებაში. სხვა სახელმწიფოებთან ერთად სსრ კავშირი მონაწილეობას იღებს ღონისძიებებში ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საერთაშორისო სააგენტოს შესაქმნელად.

საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობანი სრულიადაც არ არის ამოწურული. კერძოდ, ეს ეხება თანამშრომლობის განვითარებას ამ დარგში რეგიონალურ საფუძველზე.

ამჟამად ფართო საზოგადოებრივი წრეების ყურადღებას სულ უფრო მეტად იპყრობს საკითხი იმის შესახებ, რომ მოეწყოს თანამშრომლობა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში ევროპის სახელმწიფოებს შორის. ევროპის ქვეყნებს შორის ასეთი თანამშრომლობის განვითარება ბევრად შეუწყობდა ხელს ნდობის განმტკიცებას მათ შორის და სრულიად ევროპის უშიშროების ინტერესების შესაბამისი იქნებოდა.

ახლანდელ პირობებში სწორედ ევროპის სახელმწიფოებს, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, აქვთ ყველაზე ხელსაყრელი წინაპირობები, მათ შორის დიდად განვითარებული მრეწველობა, კვალიფიციური მუშახელი, მეცნიერთა და ინჟინერთა კარგად მომზადებული კადრები და საჭირო რესურსები, რათა განავითარონ თანამშრომლობა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში როგორც ევროპის ქვეყნებს შორის, ისე სხვა სახელმწიფოებისათვის შესაბამისი დახმარების გასაწევად. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ამ ბოლო დროს დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში არის გარკვეული ცდები გამოიყენონ ხალხთა გასაგები მისწრაფება ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისადმი იმისათვის, რომ ამ დარგშიც შექმნან რამდენიმე სახელმწიფოს კარდახშული დაჯგუფება, რამაც არ შეიძლება ხელი არ შეუშალოს ფართო თანამშრომლობას ამ დარგში სრულიად ევროპის საფუძველზე. სწორედ ასეთი დაჯგუფება გათვალისწინებულია ეგრეთწოდებული ევრატომის, დასავლეთ ევროპის ექვსი ქვეყნის — საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიის, ლუქსემბურგის ატომის გაერთიანების შექმნის გეგმებით.

ევრატომის შექმნის პროექტის თანახმად, რომელიც შემუშავებულია აღნიშნული ექვსი სახელმწიფოს სპეციალური სამთავრობათაშორისო კომიტეტის მიერ, იგულისხმება ამ ორგანიზაციას მიენიჭოს ყველა ხლეჩადი მასალის ფლობის არსებითად მონოპოლიური უფლება, აგრეთვე ამ დაჯგუფების წევრ სახელმწიფოთა შორის ამ მასალების განაწილების უფლება.

ამ პროექტის ავტორები წინადადებას იძლევიან მიეცეს ევრატომის ხელმძღვანელ ორგანოებს ისეთი უფლებანი და რწმუნებანი, რომლებიც საშუალებას მისცემენ ამ ორგანიზაციას ნამდვილად კონტროლი გაუწიოს ატომის მთელ მრეწველობას, აგრეთვე მნიშვნელოვანწილად მასთან დაკავშირებულ მეურნეობის დარგებს ამ გაერთიანების მონაწილე სახელმწიფოებში. ამრიგად, არის წინადადება, რომ ამ ორგანიზაციას არსებითად მიეცეს ზეეროვნული ხასიათი.

არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ასეთი ორგანიზაციის შექმნა ისეთ პირობებში, როცა დასავლეთ ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოები შედიან ევროპის სხვა სახელმწიფოებისადმი დაპირისპირებულ კარდახშულ სამხედრო ბლოკებში, გამოიწვევდა იმას, რომ ევრატომის საქმიანობა დაექვემდებარება ამ ბლოკების სამხედრო-სტრატეგიულ მიზნებს. ევრატომის ორგანიზაციის ასეთი ხასიათის დროს არ შეიძლება, რა თქმა უნდა, მოველოდეთ, რომ იგი თავის საქმიანობას განახორციელებს იმ სახელმწიფოთა ინტერესებისათვის, რომლებსაც შესაძლებლობა არა აქვთ მოაწყონ ატომის ენერგიის წარმოება. ეს ნიშნავს, რომ ეკონომიურად უფრო ძლიერი სახელმწიფოები, ნამდვილად კი ამ ქვეყნების შესაბამისი მსხვილი მონოპოლიები, ჭიდლებენ შესაძლებლობას გამოიყენონ ევრატომი იმისათვის, რომ თავიანთი პირობები თავს მოახვიონ სხვა, ეკონომიურად უფრო სუსტ ქვეყნებს. უეჭველია, ეს გამოიწვევდა მხოლოდ უხდობლობის გაძლიერებას სახელმწიფოთა ურთიერთობაში და შექმნიდა დამატებით სიძნელეებს ევროპის ეფექტიანი უშიშროების სისტემის ორგანიზაციის გზაზე.

საჭიროა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ ორგანიზაციის შექმნა, რომელშიც შევა გერმანიის მხოლოდ ერთი ნაწილი, გამოიწვევდა გერმანიის ორ ნაწილად გათიშვის კიდევ უფრო მეტ განმტკიცებას და კიდევ უფრო გააძლიერებდა გერმანიის ერთიანი მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის ღონისძიებათა განხორციელებას.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ევრატომის შექმნა ნამდვილად გამოიწვევდა ყოველგვარი შეზღუდვის მოხსნას ატომის ენერგიის წარმოების დარგში, რომლებიც ამჟამად გათვალისწინებულია დასავლეთ გერმანიის მიმართ. ეს საშუალებას მისცემდა დასავლეთ გერმანიის რევანშისტულ წრეებს მოეწყოთ ატომური იარაღის წარმოება, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიდა ევროპის მშვიდობის საქმეს.

საბჭოთა კავშირი მუდამ მოითხოვდა და მოითხოვს ფართო საერთაშორისო თანამშრომლობას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში. იგი საიდუმლოს არ ხდის თავის მიღწევებს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში და სიამოვნებით უზიარებს ამ მიღწევებს ყველა ქვეყანას. იგი ეფექტიან დახმარებას უწევს მთელ რიგ ქვეყნებს ატომგულის ფიზიკის დარგში კვლევის განვითარებასა და მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებაში, ატომური რეაქტორების მშენებლობაში, სპეციალისტთა მომზადებაში და სხვ.

ატომგულის ფიზიკის დარგში თეორიული და ექსპერიმენტული კვლევისა და მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების შესაძლებლობათა გაფართოების საქმეში სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა თანამშრომლობის მიზნით საბჭოთა კავშირის ინიციატივით 1956 წლის მარტში მოსკოვში მოწვეული იყო თათბირი ევროპისა და აზიის 11 ქვეყნის წარმომადგენლებისა, რომლებმაც დადეს შეთანხმება შეიქმნას საერთაშორისო სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაცია სახელწოდებით „ატომგულის კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტი“. დადებული შეთანხმების შესაბამისად საბჭოთა მთავრობამ ატომგულის კვლევის გაერთიანებულ ინსტიტუტს გადასცა ატომგულის პრობლემების ინსტიტუტი და ელექტროფიზიკური ლაბორატორია მთელი მათი კუთვნილი უნიკალური მოწყობილობით.

შეთანხმებაში პირდაპირ გათვალისწინებულია, რომ სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც მომავალში მოისურვებენ მონაწილეობა მიიღონ ინსტიტუტის მუშაობაში, შეუძლიათ განაცხადონ, რომ ეთანხმებიან დადებული შეთანხმების დებულებებს და ინსტიტუტის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით გახდნენ მისი თანასწორუფლებიანი წევრები.

ამრიგად, ატომგულის კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტი, რომელიც ღიაა სხვა ქვეყნების მონაწილეობისათვის, მოწოდებულია გახდეს სხვადასხვა სახელმწიფოს მეცნიერთა თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვანი ცენტრი.

საბჭოთა კავშირმა, რომელიც ემყარება იმას, რომ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში მძლავრ ბიძგს მისცემს ატომის მეცნიერების შემდგომ განვითარებას და ხელს შეუწყობს ექვისა და უნდობლობის მოსპობას ამ დარგში, 1956 წლის აპრილში ევროპის ეკონომიური კომისიის XI სესიის განსახილველად შეიტანა წინადადება, რომ ამ ორგანიზაციის ჩარჩოებში შეიქმნას მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხთა ორგანო.

როცა ამ წინადადებას აყენებდა, საბჭოთა მთავრობა იმას ემყარებოდა, რომ ზოგიერთ ქვეყანას, განსაკუთრებით პატარა ქვეყნებს, არ ძალუძს დამოუკიდებლად გადაჭრას ატომის ენერგიის მშვიდობიან გამოყენებასთან დაკავშირებული რთული საკითხები. ისეთი საკითხები, როგორიც არის მეცნიერთა კადრების მომზადება, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებისათვის მატერიალური ბაზის შექმნა, მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის წარმოების შექმნა და განვითარება, უაღრესად რთული საქმეა, რომელიც მოითხოვს უდიდეს ხარჯებსა და სათანადო ტექნიკური ბაზის არსებობას. ეჭვი არ არის, რომ ევროპის ყველა სახელმწიფოს ფართო თანამშრომლობა ამ დარგში უზრუნველყოფს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის წარმოების უფრო სწრაფ განვითარებას და ბევრად შეუწყობს ხელს ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებს რა თანამშრომლობას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში, საბჭოთა მთავრობა მიაჩნია, რომ დადგა დრო მოწვეულ იქნას ევროპის ქვეყნების კონფერენცია, რათა განხილულ იქნას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების სრულიად ევროპის რეგიონალური ორგანიზაციის შექმნის საკითხი. ასეთი ორგანიზაცია შეიძლება შეიქმნას სამთავრობათაშორისო საფუძველზე მასში ევროპის ყველა მსურველი სახელმწიფოს მონაწილეობით. ასეთ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ამერიკის შეერთებულ შტატებსაც.

საბჭოთა მთავრობის აზრით, ასეთ კონფერენციაზე შეიძლება განხილულ იქნას აღნიშნული ორგანიზაციის უფლებათა და რწმუნებათა საკითხი იმის გათვალისწინებით, რომ მის გამგებლობაში შევა ისეთი საკითხები, როგორც, მაგალითად, ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების ეკონომიური ასპექტების შესწავლა, ნედლეულის რესურსების გამოყენების კოორდინაციის შესაძლებლობის შესწავლა, ტექნიკური დახმარების გაწევა, ინფორმაციის გაცვლა, ატომის მხრივ განვითარებული სახელმწიფოების მიერ ტექნიკური და მეცნიერული კონსულტაციის გაწევა სხვა ქვეყნებისათვის, აგრეთვე კადრებით დახმარების გაწევა; მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში ევროპაში არსებულ საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციებს შორის მუდმივი კავშირის საკითხის განხილვა.

ბუნებრივია, კონფერენციას შეუძლია განიხილოს სახელმწიფოთა ყოველი სხვა წინადადება საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოების შესახებ ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში.

რა თქმა უნდა, სრულიად ევროპის თანამშრომლობის ფართოდ განვითარება ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში სრულიადაც არ გამორიცხავს ორმხრივ შეთანხმებებს ამ დარგში. პირიქით, ორმხრივი შეთანხმებანი, დადებული თანასწორ საფუძველზე და ისე, რომ ერთი მხარე თავს არ მოახვევს მეორე მხარეს რაიმე პოლიტიკურ, ეკონომიურ, სამხედრო ან სხვა მოთხოვნებს, რომლებიც შეუთავსებელია სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის პატივისცემის პრინციპებთან, ხელს შეუწყობენ სახელმწიფოთა ღონისძიებების გაერთიანებას და მათს თანამშრომლობას მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში.

საბჭოთა მთავრობა გამოთქვამს რწმენას, რომ ყველა დაინტერესებული ქვეყნის მთავრობები ჯეროვანი უურადღებით მოეპყრობიან საბჭოთა კავშირის მოწოდებას გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი ამ დიდმნიშვნელოვან დარგში. იგი გამოთქვამს რწმენას, რომ ევროპის ყველა სახელმწიფოს ასეთი თანამშრომლობა ბევრად შეუწყობს ხელს შეთანხმების მიღწევას ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისა და სახელმწიფოთა შეიარაღებიდან მისი ამოღების შესახებ, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მთელი ატომგულის მასალების გამოყენებას მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით, მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესისათვის, ადამიანთა საკეთილდღეოდ“.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

მოქალაქე **ნოე კალისტრატეს-ძე გვეტაძემ,** მცხოვრებმა ქ. ქუთაისში, შევჩენკოს ქ. № 10. აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ **შუშანა ოგანესის ასულ გვეტაძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგია.

დედა ნინო, გ. ტუღუში ოჯახით და ნათესავებით იუწყებიან
როზა ვლადიმერის ასულ ტუღუშის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VII სოფელ გაგურში (ლანჩხუთის რ.).

ნატალია ზენკო და თენგიზ ონოფრიშვილი იუწყებიან
პელაგია მიხეილის ასულ ონოფრიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-VII, 5 ს. სოფელ კავთისხევში.

რძალი ვერიკო დიდებულიძე შვილებით, და ალექსანდრა გოკინაევა იუწყებიან
პოლინა მიხეილის ასულ ყიფიანი-ხიორავის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-VII, 8½ ს. გამოსვენება 17-VII, 6½ ს. ნეკრასოვის ქ. № 3.

მეუღლე ქეთო გაჩეჩილაძე, შვილი არჩილ, დები ლიუდმილა, ალექსანდრა, ძმა სიმონ ოჯახებით იუწყებიან
კირიონ კონსტანტინეს-ძე კალანდარიშვილის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-VII, 8 ს. გამოსვენება 17-VII, 6 ს. ბარნოვის ქ. № 73.

საქნავთის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან ამავე სამმართველოს ინჟინრის
მამია იაროსლავის-ძე ბერაიას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16-VII, 8 ს. გამოსვენება 17-VII, 5 ს. საბჭოს ქ. № 215.

მეუღლე გიორგი, შვილები გენო, ციცინო, ნათელა, რძალი ეთერ იუწყებიან
ელენე გაბრიელის ასულ ხარატიშვილი-ცოცვეძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 15-VII, 8 ს. გამოსვენება 17-VII, 5 ს. ლოტკინის ქ. № 9.

მეუღლე გიორგი, შვილი ნუკრი ქურციკიძეები იუწყებიან
ლამარა არჩილის ასულ გოგიჩაშვილი-ქურციკიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 15-VII, 5 ს. ბოჭორიშვილის შესახვევი № 13.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებმა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და ბრიგადა-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, ბრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-48, კულტურისა და ეროვნული ცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-